


Handwritten numbers and markings in the top left corner.

Handwritten numbers and markings in the top right corner.



საქართველო ნახატებიანი  
ქურონალი

№ XII

დეკემბერი

1907

Handwritten number 1906.

Library stamp with handwritten numbers 913 and 115, and a signature.

შ ი ნ ა ა რ ს ი

უკრნალ „ჯეჯილისა“

I მომილოცავს ახალი წელიწადი! სურათი . . . . .	2
II შობის ხე და ჩიტი ლექსი ქოჩოსი . . . . .	3
III შობის ხე ზღაპარი ალტაევასა თარგმ. ან. აშვილაძისა . . . . .	6
IV ახალწელიწადი სასოფლო სკოლაში კვ. გაბაშვილისა . . . . .	9
V სიმშვენეიერე ყოველგან არის რუსულით თეოდ. კანდელაკისა . . . . .	18
VI პატარა მკურნალი. ანასტ. ერისთავი-ხოშტარასი . . . . .	22
—	
VII საახალწლო ლექსი, შიო შღვიმეძისა . . . . .	34
VIII პატარა მეცხვარე, სამეგრელოს ცხოვრებიდან, კინ- წურაშვილისა . . . . .	35
IX ეპისკოპოსი ალექსმნდრე (ნეკროლოგი) . . . . .	49
X საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან. (და- სასრული)—ს. გორგაძესი . . . . .	53
XI უზინარა, ლეგენდა ა. სარაჯიშვილისა . . . . .	63
XII მსოფლიო ისტორია, ერნესტ ლავისისა ფრანგულიდან —აფ. სარაჯიშვილისა . . . . .	65
XIII სარჩევი . . . . .	68

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის

ჯეჯილზე

Handwritten notes and stamps at the bottom left of the page.

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

5-40



17380

~~1937~~

~~1921~~

# საქართველო ნახატებიანი ქურონალი

იხარდე, მწვანე ჯვჯილო  
დაპურდი, გახდი ყანა!..  
ი. დ.

№ XII

9/3  
115

დეკემბერი, 1907


© ქართული მწერების საზოგადოება

ქ. შარტისის ხახ. სამ.  
სარ. სახელმწიფო  
ბიბლიოთეკის  
აქტივების განყოფილება

ბ ზ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭედავი აზს. «სრომა», მახვილის ქუჩა, № 65

1907



ძობილოცავს ახალი წელიწადი!



# შობის ხე და ჩიტვი.



წვანე შობის ხე, მორთუ-  
ლი,

ხანთლებით განათებული  
იდგა მდიდარს ოთახში  
ობოლი, დაღონებული.

მას არ ართობდა ბავშვების  
სტომა, სიმღერა, სიცილი.  
და მის გარშემო კისკისი  
და მხიარული სირბილი.

შობის ხე ტუეზე ფიქრობდა,  
იმ ტუეზე, სადა ჩიტები  
გალობდნ ცელქად და სტოდნ  
ძალხაზები და ცქვტები.

გათავდა მისთვის სულ ეველა:  
ჩიტების ფრენაც, ძღერაც.



იმათი ბუდის დანახვა,  
 იმათი ტკბილი სტვენაცხ.

უცბად შენიშნა შობის სემ  
 გალია და შიგ ვინ არი?

— იმის ნაცნობი ჩიტუნა,  
 დაღონებული, მტირბლი

— მითხარი, ჩემო ზატარა,  
 ჩემო ლამაზო დია:

ვინ გაგჩინა შენ ბუდეთ  
 ეგ სამაგელი გალია?.

— ჯერ კიდევ საფხული იყო,  
 რომ დამიჭირეს ბადითა.

და იმის აქეთ აშევსო  
 გული სევდით და დარდითა.

— მე კი სულ ცოტა ხანია,  
 რაც ტყეს მოვშორდი ბეჩავი.

და აგერ ვკვდები... საცოდავს  
 დღე დამიღამდა მე შავი...

კვდები უქაროთ, უღრუბლოდ...  
 ცის შუქის მონატრულია.

ძალად მოგლეჯილს, მოჭრილს  
 სევდით მიკვდება გულია...

ახლა ამას გთხოვ, გენაცვა,  
 სთქვი ის სიმღერა ტკბილია,  
 რომელსაც, გახსოვს, ერთ დამეს  
 მთელ ტყეს დაუფრთხო მილია...

რომ კავიგონებ, ჩიტუნა,  
ძე კიდევ შენ სიმღერასა,  
გული ადვილად შესწევითავს  
იმ ხმით დამტკბარი ძვერასა...

დადუმიდა ვეკლა. სე ჩაქრა  
და როს გაძეფდა წვედიადი  
გაისმა ტკბილი გალობა  
სინაზით სავსე, დიადი...

ჩიტმა შესძახა სიმღერა...  
სიმღერა გაზაფხულისა...  
სიმღერა მზისა, სიცოცხლის  
დამტკბობელი გულისა...

და ჟურს უკლებდა შობის სეც  
აგონდებოდა ძაისი...

ვარდები... წუარო... ტყე... ველი...  
ბედნიერება თავისი.

და თან სჭკნდებოდა, კვდებოდა.  
დილას იზოვეს ის მკვდარი,  
აკუწეს ნაწილ-ნაწილად  
და მიუჩინეს ბუნარი.

ქოჩო.

(თარგმანი)



# ზღაპრის ზე.

(ზღაპარი ალტავეასი).



გინდა, მიძა, გიამბო წმინდა  
და ღვთის ნამუის ზღაპარი?  
ეუბნებოდა ბებია.

— რომელ ღვთის ნამუ  
კზე?

— ეს ზღაპრითაც არ  
ითქმის... უწინდელ დროში,  
დღერთმა განუსვენოს, ბე-  
ბიაჩემი მიაძობოდა სოღმე,  
გინდა? ეური დამიგდე, იქ-

ნება უფრო კარგადც დაგეძინოს.. ლათ არის ნამუ  
ვის ხე ჩვენგან ამ ზატვიში? ისიც სომ სხვა ხეებსა-  
ვით არის, მაგრამ ხალხს წმინდა ხეთ მიანჩია... ერთ-  
ხელ დიადი მუსა იკვესოდა თავის ამხანაგებთან: მი-  
უურეთ რა ახოვანი ვარ, თუ სიმაღლით, თუ სიგა-  
ნით, ჩემის სიდან თვით მეფეებისთვის აკეთებენ მ-  
კიდებს და სავარძლებს. მე ვეკლა ხეზე უძჯობესო

ვარ! მის გვერდით იდგა ჰატარა ნამკვი, ლერწამსა-  
ვით წერილი. მუსამ დასცინა: აბა, რის მაქნისი ხარ?  
გლახა თუ დაინთებს შენს ტოტებს! ქარიც კი არ  
გამტვრევს, არ კვადრულობს შენთან ბრძოლას... მწა-  
რეთ იტირა ჰიტარა ნამკმა: მეტათ ეწეინა, რომ  
ამისთანა გამოუსადეგარი რამ იყო. ჭფიქრობდა,  
ცოტა რამ მაინც შესძლებოდა, დიდხანს მსურვალეთ  
ვეედრებოდა მოწყალე შემოქმედს, რომ რომელი-  
მე ღარიბს მაინც მოეჭრა ცეცხლის ასანთებად. ამ  
ღროს თოვლი ძლიერ ბარდნიდა და ქარიშხალი  
ზნექდა ხეებს, რომელნიც გულსაკლავად კენესოდნენ...  
ხვალ შობაა. ძრეელ ეინავდა. თოვლმა, თითქმის მთ-  
ლათ დაჭყარა ჰატარა ნამკვი, თითქო ჩაფლას თეთრ  
საფლავში. „ესლა აღარავენ დამინახავს და ისე მოვ-  
კვდები“ — ნაღვლობდა ნამკვი. მუსა კი უფრო ამაუთ  
დასცქეროდა და დასცინოდა ჰაწია საბრალო ხეს...  
უცებ სასწაული მოხდა... ბებია მატარა შეისვენა, და  
განავრძო დაბალის სმით...

„ჰატარა ნამკმა იგრძნო, რომ იხრდებოდა, მაგრ-  
დებოდა, და ძაღლა ამოჭყო თავი თოვლიდან; მუსა-  
ხე ძაღალი გაიხარდა და მისი მწვანე შტოები თით-  
ქოს ციდან იხრებოდნენ მიწისკენ. მუსამ განცვიფ-  
რებით შესედა. უეურებს ამ უნახავ მძვენიერებას და  
ბრახობს. უცებ შემოდან მოისმა წენარი მუსიკა და  
ცისფერი ფრთების შრიალით ჩამოვიდნენ ციდან ან-  
გელოზნი, ანთებული წმინდა სანთლებით და დაეშუ-



ნენ ნაძვის ტოტებსე. აენტო ერთ წამს ნაძვი ათხროს სის სანთლებით, მოირთო ოქროს კაკლებით, კანფუტებით, წითელი ვაშლებით, და სხვა და სხვა ტკბილეულით... დაჭფრიალებენ ანგელოზნი და აძობენ გალობით ახლად დაბადებულ ღვთის ერძანს: ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას სისხარული, ერთწამს გადნა ნაძვის სის გარშემო თოვლი, და აღმოცენდნენ ალისფერი ვეავილნი. ტუიდან წამოვიდა მრავალი ჰატარა ბავშვები, მძიერ-მწუერვალნი და შიშველნი. ავადყოფნი და სუსტნი მიეშურებიან წმინდა სისკენ, და შეგროვდა რიცხვი უთვალავი: უთუოთ უთვალმა შეაგროვა ისინი მთელს დედამიწასე. შემოუსდნენ გარს შობის ხეს და სისხარულით აძობდნენ ქებით ქრისტესა. უწვალობა უთვალმა ეველას, რაც რამ იყო ნაძვის ხესე... არავინ არ წასულა ხელცარელი. დაათბო, დააბღო, და შემოსა წმინდა შობის სემ. აი, რა ბედნიერება მოუვლინა ღმერთმა უბრალო ჰატარა ნაძვს! რა რიგ ისინამოვნა და გაისარა! მას ეგონა რომ ესლა სულ მადლა, მადლა აღიოდა ცისკენ თვით შემოქმედის ტრავესისკენ. შესცქერიან ერძანი შობის ხეს, და ის ციდან ციმციმებს ფერად ცეცსლებათ.

მოეფინენ ღარბინი ერძანი მთელ დედა მიწას და ამცნეს ეველას ამბავი წმინდა ღვთის ნაძვსე. მას აქეთ დაიწეეს შობა ღამეს მორთვა მწვანე ნაძვისა ტკბილეულობით, სათამაშეებით, და ახადებენ სანთლებს ბავშვების სასისხარულით.

## ახალწელიწადი



სასოფლო სკოლაში

აზრიანის სასოფლო სკოლა კარგა ძაღლობხედ სდგას, სოფლის ეკლესიის გვერდით; წინ ჰატარა მოედანი აქვს გაშლილი და გვერდიდგან მოხდილი ხეხილის ბაღი ამშვენებს. თითონ სკოლის შენობა ძრიელ მცირე და ულასათოა; სასურავი გვერდხედ წახრია, ბაღკონები შემოკლუჯილი აქვს, კედლები გაუღესავი, ფანჯრები ჰაწაწინაები, რომელნიც საკმაო შუქს არ უშვებენ საკლასო დიდ ოთახში, ძაგრამ ნინო, ამ სკოლის ახლანდელი მასწავლებელი კარგად შედავს ვარდიანელების სიღატაკს და სკოლის შეკეთებისთვის არ აწუხებს.

— რა ვქნათ, უნდა მოვითმინოთ! საქმე ის არის ამ ქოხმასში ვისწავლოთ რამე, თორემ დიდ დაზღაზებს ჩვენ ვინ მოგვცემს! მხიარულის ღიმილით ეუბნება ის თავის საუვარელ მოწაფეებს და მოსწავლეებიც მხიარულის ღიმილითვე სწავლობენ და თან ცდილობენ თავიანთი კეთილი და მოსიყვარულე მასწავლებელი ასიაშოვნონ.

აი დღეს, ახალ წლის წინა დღეს, შვიდიორვა უმფროსი განუოფილების შეგირდი დილიდგანვე თავს დასტრიალებენ ნინოს და უოველ იმის ბრძანებას სინხარულთ ასრულებენ.

— ძართას ბევრი საქმე აქვს, ეუბნება ნინო ბავშვებს, სარეცხი უნდა დარეცხოს, ჰური გამოაცხოს, სახლის დალაგებისთვის აღარა სცალიან, არც იმდენი დონე აქვს...

— განა არ ვიცით, ბატონო, ჩვენ სახლებშიაც აგეთი ამბავია და ჩვენ კი განა ეველაფერს რიგობნად არ მოუვლით-და საქმეს ცეცხლივით ედებიან, საკლასო ოთახიდან ძავიდები ბალკონზედ გამოზიდეს, ოთახის იატაკი გაასუფთავეს, ჭერ-კედელი ჩამოგავეს, საჯდომი გძელი სკამები კედლებს გარშამო ჩამოამწკრივეს, ოთახის თავში კედელთან დიდი ტასტი დადგეს და ზედ ფარდაგი გადააფარეს, ტასტის გარშამო ნაძვის ტოტები დანარჩეს, ჭერში დიდი ლამუა ჩამოჭვიდეს და ეს უოველთვის უქმური და სინათლეს მოკლებული ოთახი, სამეფო დარბაზს დაგვანეს.

— ვიშ, ვიშ! რა მშვენიერია, მორთულ ჰატარძალსა ჰგავს! სინხარულთ შეჭვევირბ ძარობ, სკოლის საუკეთესო შეგირდმა და თამაზ გოგონამ, როდესაც დალაგებულ ოთახს გარეთ კარებიდგან შეძოსედა. — ენლა სტუმრები-ღა აკლიან ჩვენ კლასს! თქვენც უთუოთ სტუმრებს ელით, არა, ოსტატო?

— სტუმრებს ველი, ჩემო კარგო, სტუმრებს,

შვირფასს სტუმრებს და თქვენ, ჩემო საუკეთესო მეგობრებო, უნდა საუკეთესოთ გაუმასპინძლდეთ ჩემ სტუმრებს.

— ჩვენ?! ჩვენ უნდა გაუმასპინძლდეთ? შესძახეს გაკვირვებულმა ბავშვებმა.

— დიას თქვენ, უთხრა ნინომ დარბაისლურად და თან მაროს ხელი მოჰკიდა და ფარდაც გადაფარებულ, მწვანით შემოფარგლულ ტანტხედ შეაყენა.— აბა ახლა, ჩემო ცუგრუძე, ლამაზად, დალაგებით, აუჩქარებლივ, ისე როგორც კლასში მოძიკებ სოღმე, შეპირად წაიკითხე: „სამშობლო ხევსურისა“.

მარო ჯერ დაიკრინა, დაიპრანჭა, პირხედ ხელები მიიფარა და კედლისკენ პირი მიიბრუნა, მაგრამ პატარა ხანს უკან მაინც დაიწყო: „სადაც ვმობილვარ, გავხდილვარ და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა შეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი, სადაც სირუშითვე ვხვეულვარ — ჩემი სამშობლო ის არი“!

პირველში მაროს სმა უკანკანკალებდა, მაგრამ თანდათან გამხსნევდა, წელში გაიძართა და ჩვეულებრივის სითამამით დამთავრებ რაფიელ ერისთავის უკვდავი ლექსი. უკანასკნელი სიტყვები ისეთი გრძნობით და აღტაცებით წარმოთქვა, რომ ნინომ ტაში დაუკრა და მადლობის ნიშნად გადაჰკოცნა.

— აბა ახლა შენ, ჩემო მისუნა! მიუბრუნდა ნინო თორმეტცამეტი წლის ბიჭს, წინდა-ქალამნებში გამოწეობილს, ძველ რუსულ ფარჯაში გახვეულს.

მისო თხოვნის განუძეორებელივ ნელა-ნელა წა-  
ვიდა ტანტისკენ, მორცხვად ავიდა ზედ, თავსედ ხე-  
ლი გადაისვა, ფარაჯის კალთები გაისწორა და აუჩ-  
ქარებელივ, სმა ძაღლა, კლესურის კილოთი დაიწყო:  
„ღამის მესრე“:

„პატარა კლესის ბიჭი ვარ, ნაბადში გახვეულია,  
გუთნის ხარ-კამბეხს ვდარაჯობ, უნდა ვხნა ანეულია...  
მზე რაკი ჩავა, გუთნეულს გამოფაეოლებ ჭალასა,  
თუ მკელი ამოგვედვენა, ავად აუძლი ბალანსა!  
რბ დაღამდება, ეურს უგდებ, არ ისძის ჩამი-ჩუძია,  
მარტოკა მძიერ ხარ-კამბეხს გაუდის ხრამა-სრუძია!  
ხანდისხან ჭოტის სმა მესძის და გულს მიღონებს

წეული;

ისე საბრალთ გასძახის, როგორც თიკანი ეული.  
ჯეჯილის სანაპიროზედ სძოვს და სძოვს გუთნეულია,  
იმათ ცოხნაზედ ძალი ძალ მომეკიდება რულია.

უძაგრობ და ვფხისლობ, თავს ვიჭერ, თან დავდი-  
ღინებ წენარბა

შევედე, ხარიპარიამ ლამაზად გამოანათა!

ძას უკან დილის რიურაჟი ცას გაანათლებს და გულსა,  
ტოროლაც შეინავარდებს, ძირს ვეღარ ვნასავ ნაბულს;  
მზე ეურს ამოჭეოვს, გუთნეულს დავირვეკ შესაბძელათ,  
ორი დღის ალო მერგება, გადამხნავენ ხელათა“!

— ვაძა, ვაძა! მისო ბერუაშვილს! შესძახა ნინომ  
და თავის ხელით ჩამაბძახა ტანტიდგან, უჩვევის ქე-  
ბით გაწითლებული ღამის მესრე.



შერე რვა ქალ-ვაჟი ნინომ დააყენა ერთად ტახტზედ და თავისის ხმის შეწეობით ამღერა: „კანაფ-სული“ ილიასი, „პეპუნა“ აკაკისა, „საწვადი გლეხი“ და სხვ. სუეველა ეს საგალობელი უძაწვილებს კარგათ ჰქონდა შესწავლილი და ესლბ ადვილად და კარგად გაიმეორეს. ნინო აღტაცებული იყო და თითო-თითოდ ტებილად უაღერსებდა და ეუბნებოდა. აბა, გენაცვალეთ, როგორც ესლბ ჩემ წინ და თქვენის ამხანაგების დასწრებით წაიკითხეთ და იმღერეთ, სვალ ჩემ სტუმრებთანაც, ისე გაბედვით და თამამად გაიმეორეთ!“

— ნუ გემინიან, მასწავლებელო! სვალ უფრო ეოხალათ ვიქნებით! შესძახა კიდევ მარომ და ჩვეულებრივ პირზედ ხელი აიფარა.

მაშ, ახლბ, ჩემი ოთახის მოვლას შეუდგეთ. უთხრა ნინომ შეკირდებს და ეველანი ხელ ახლბ საქმეს შეუდგნენ. მასწავლებლის ოთახიც დააცარიელეს, დაგავა დაწმინდეს, გარეცხეს და დაკრიალებულ ოთახში მარტო ერთი დიდი ხას სტოლი-ღბ დასტოვეს. ნინომ სტოლს დიდი თეთრი სუფრა გადააფარა და ჯვარედინათ გადაჭდულ ფიცარში ჩამაგრებული კარგა მოხაღილი ნაძვის ხე შეკირდებს ხედ შეადგმევინა.

— ახლბ კი, გმადლობთ! გეოფათ რაც დაქმნმარეთ, დანარჩენს მე და მართბ მოვასწოებთ. თქვენ კი წადით სოფელში, ეველბ ოჯახსი შემოიარეთ და სთხოვეთ ჩემ მაგიერათ, რომ ოჯახსიღბნ ერთი ქალი და კაცი სვალ საღამოხედ სკოლაში მობრძანდნენ.

თქვენ კი ცოტა მოადრეობით ამოდით; ხელი და ზირი სუფთად სავანით დაიბანეთ, თუ ახალი ტანისამოსი გაქვთ, ჩაიცვით და თუ ახალი არა გაქვთ, ძველები დაირეცხინეთ, დაიუთოვეთ, ფეხსაცმელებიც დაიწმინდეთ. აბა, მთელი სოფელი აქ იქნება და მუც მასახელები და თქვენი მშობლებიც გაასარეთ!

— ეგ ხე რაღათ გინდა? მაგიდასეგ რად შედგი? ცნობის მოუვარეობით შეეკითხნენ წასვლის დროს შეგიძრები ნინოს, მაგრამ იმან არ აუხსნა. — სვალამდინ ქოითმინეთ და, თუ კარგად წაიკითხავთ და კარგად იგალობებთ, მაშინ ეველაფერს შეიტყობთ და დაინახავთ.

ემაწვილები განსარებულნი სვალინდელის დღის მოლოდინით გაცვივდნენ და მთელ სოფელშიაც სიცოცხლე და სისარული შეიტანეს.

ზირველ იანვარს, საღამო უამს სკოლის შენობა მთლად გაჩირადნებული იყო. აივანსეგ ანთებული ორი დიდი ფანარი სოფლიდგან ბრწეინვალე ვარსკვლავებით მოსჩანდა და მთელ სკოლის არეშარეს ანათებდა. დიდი ლამაზ კლასის ოთახს, მშვენივრად დალაგებულს და მწვანით შექეულს, აჩაღებდა. მხოლოდ მასწავლებლის ოთახი იყო ჩაბნელებული, და რათ იყო ჩაბნელებული, ამის საიდუმლოება მხოლოდ მართა დედაკაცმა იცოდა.

ნინო მხიარულ კაბით მორთული, მხიარულად და ალერსიანად უხვდებოდა სტუმრებს. სტუმრებიც

როგორღაც ბედნიერად გრძნობდნენ თავის თავს და კვიელ-სივილით, სიცილ-სარსარით შედიოდნენ მართულ დარბაზში. ვინც ადრე მოვიდა, სკამებსედა ჩამოსხდნენ, ვინც დაიგვიანა კედლებისაკენ ჩამოდგნენ და კარში კიდევ ბევრი დარჩნენ და ფანჯრებიდგან ცქერით დაკმაყოფილდნენ.

ვარდიანში, თუშცა სკოლა ოცი წელიწადიც არის, რაც სწარმოებს, მაგრამ დღემდინ არც ერთ მასწავლებელს ამისთანა წვეულება არ გაუძარტავს და ახალ მასწავლებელ ქალის მოწვევას სოფელი დიდის სისარულით მიეგება და თითქმის დიდ-პატარამდის სკოლის შენობას მოაწვდა.

მასწავლებელმა ზარი დააწვარუნა. ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა. ტანტსედა ახალ კაბაში გამოპრანჭული, ლამაზათ თავდავარცხნილი მარო ავიდა. პატარა ხანს შემკრთალი იდგა, მერე წინოს გადახედა და იმის ტბილის დიმილით გამსწვევებულმა გუშინდელებრივ მშვენიერად წაიკითხა „სამშობლო ხევსურისა“ და როცა უკანასკნელი სიტყვები წარმოხთქვა:

„სამშობლო, დედის მუძუი არ გაიცვლება სხვახედა, ორივ ტბილია, ძმობილო, მარჩვენის ორთავ თვალსედა,

როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანასედა...

მთელი დარბაზი შეინძრა და პატარა მკითხველის უკანასკნელი სიტყვები აღტაცებით გაიმეორა: „ერთია, ერთია როგორც უფალი!...“ კვლავ, ზარის ხმა

გაისმა და ხალხი ისევ გაჩუმდა. ახლა ტანსუდ მი-  
 ხო იდგა. ტანსუდ ფარაჯის მაგივრად წითელი ხა-  
 ლათი ეცვბ, ფეხებსუდ სუფთა წინდა-ჩუსტები და თა-  
 ვის „ღამის მხრის სიძღვრით“ ეველას პირსუდ ღი-  
 მილი მოჭკვარა. ეველამ ლექსში თავის ნაცნობი  
 სურათები დაინახა და ნაცნობის მძვენერ ლექსის  
 გამოხატვით გაინარა.

სიძღვრებმა და საგალობელმა სომ უსამხდრო  
 სინარული გამოიწვია, მაგრამ სუეველასფრის დამა-  
 გვირგვინებელი ის იყო, როდესაც ნინომ დარბაზში  
 ხალხი მისწი-მოსწია და შუაში მისის ლოტბარობით  
 „ცანგალა და გოგონა“ გაიძართა. შევირდებს გარდა  
 მოხრდილნი სტუმრებიც ჩევირენენ ლეკურ-ბუქნაში და  
 ძალე ბავშვების ხმას საერთო ბანი მიეძატა და ხალ-  
 ხურმა საცეკვაო გუგუნმა სახლს ზრიაშული აუკენა.

ნინომ ისარგებლა სტუმრების გართობით და  
 თავის ოთახში შეიპარა. იქ მართას დახმარებით  
 მჭევირიალა ქაღალდებით, კამფეტებით, დავარაყებულის  
 კაკალ-ვაშლით მორთულ ნაძვის ხესუდ ფერად-ფერ-  
 დი სანთლები აანთო და სტუმრების მოულოდნელად  
 აქამდინ მიკეტილი ოთახის კარი გააღო.

„ცანგალა“ უცებ შესწედა და აღტაცებული სა-  
 ზოგადოება განათებულ ოთახისკენ მოტრიალდა.

— ღმერთო ჩემო! რა კარგია, რა მძვენერებაა!  
 გოცნებული იძახდა ეველა. — რაღაც წლანრულ მოჩვე-  
 ნებას ჭკავს, სამოთხის ბაღში. ძღვამ ხეს!



ხეს გვერდ უღვა წელში მოხრილი მოხუცი თეთრ ტანისამოსით მოსილი, თეთრ წვერ-ულვაშით, თავზედ თეთრ ჩახ ჩამოცმული, ხელში სახალი ეჭირა, გარშემო სანთლებ ანთებული. სახალი საჯხე იყო სხვა და სხვა სამკვლევეთ: ვაძლი, ჩურჩხელა, ჩამიჩი, თხილი, წაბლი, ეინვარი შაქარი ზედ იყო ერთად არეული.

როცა ბავშვები კარგა კამდენ განალებულის სის ყურებით, მოხუცებული, რომელიც აქამდინ უნძრეკულად და თვალე დახუჭული იდგა სის გვერდით, ნინოს ბრძანებით შეინძრა, თვალეები აასილა, სახალი კარგად მოიძარჯვა ხელში და სტუმრებს ჩამოუარა, სამკვლეური მისთავაზა. „მიირთვიტ, მიირთვიტ! ასე ტებილად დაძიბერდით. ღმერთმა მრავალს ახალ წელიწადს დავასწროტ, ღვთის წუალობა ნუ მოგაკალოტ! ჩუენი საუვარელი მასწავლებელიც ადღეგრძელოს! „ჩუენი ძართა, ჩუენი ძართა!“ ყველამ იცნო მოხუც მკვლევეში სკოლის მოძლეელი ქვრივი ძართა და სიცილ-სარწარით მისის ნაკვლევიტ ჰირი განსველეს.

შუა ღამე კადანსული იყო, როდესაც ხალხმა მასწავლებლის ამ გუარის გონიურულის გართობისათვის მსურვალე მადლობა გადუხადა და მხიარული და კმაყოფილი თავის სახლისკენ გეეშურა.

ეკ. გაბაშვილისა.

17380

დ. შარტის საბ. საბ.  
სსრ. სახალგაფო  
რესპუბლიკის  
აქტიურობა

## სიმშენიერე ყოველგან არის!

(რუსულიდან)



საფხულის საუცხოო დილა იყო. მსე ძალა იდგა და მხურვალე კამკამ შუქს ყოველგან უხვად ჰფენდა.

საოცარ სიმშენიერეს წარმოადგენდა ამ დროს ბაღი. ძაღლი, ლერწამივით სწორე ხეები და ათას ნაირი სხვა და სხვა ფერის ყვავილები ადამიანის თვალსა და გულს იტაცებდენ და სსსიამოვნო ალერსით ჰხიბლავდნენ. წენარი, წმინდა ჰაერი დამატკბობელ სურნელებით განჟსეთილიყო.

მოაჯირსე გადმოდგარყო ჰაწაწა გოგონა. ესეც ისეთივე ტურფა და კეკლუცი იყო, როგორც ეს საფხულის დილა.

იმისი მიბნედილი ყუყუნა თვალები და ვარდის ფერი ლოყები, იმისი გრძელი აბრეშუმივით თმა და აღისფერი მსუბუქი ტანისამოსიც ისევე ბრწეინავდნენ, როგორც ეს საფხულის დილა!...

სიმშვენიერე ვეკლგან არის!

გოგონა დაეშვა ფთხილის ნაბიჯით მოაჯირის კი-  
ბის საფეხურებზე და გოგმანით ბაღისაკენ გასწია.

— რა მშვენიერია ეოკელიფერი! ჭფიქრობდა უმა-  
ნკო გოგონა ამ უძანკო ბუნების ცქერით დამტკბარნი.

უცებ იმისი ეურბდღება მიიქცია რაღაც ბჭევიან-  
ლა საგანმა... ის დანხარა და დასწვდა მუქ-მწვანე ფე-  
რის ფოთოლს, რომელსედაც დილის ნამის ჯერ კი-  
დეკ გაუშრობელი წვეთები ჭკროდნენ და ციმციმე-  
ბდნენ. გოგონამ ჩაიხოქა, დაადო თავისი პაწაწინა ლა-  
ლის ფერი ტუჩები ფოთოლზე და დილის ნამი სი-  
ხარბით შესრუტნა... ამ დროს მის ეურთან რაღამაც  
კაიძრიალა, გოგონამ თავი ძაღლა აიღო და წითელ-  
ვეითელი წინწკლებით მოვარაეებული პეპელა დანახა.  
ის გიმოუდგა პეპელას დასაჭერად, მაგრამ ნახი-ნარ-  
ნარი პეპელა ისე ძარდად და მსუბუქად ფრინავდა ევა-  
ვილიდან ევავილებზე, რომ გოგონამ თავი კანება და  
ღიმილით მიამახა:

— რისა კეძინია პეპლიკო? შენ გკონია კაწვა-  
ლებდი? მე მსოლოდ შენი ფრთები მინდოდა მენახა!

გოგონა მიუახლოვდა ევავილნარს, რომელსედაც  
სხვა და სხვა ევავილები ჯგუფ-ჯგუფად ახუნძლული-  
ენენ და იმათი ცქერით სტკებობდა.

აი, ვარდს ევავილების მეფეს, კადაეძალა ლავა-  
შებივით თვისი კოკრები და აღის ფრად ღაღანებდა.

აი, მისაკი, — ამართულიყო ლერწამივით და სა-  
დღესასწაულოდ მორთულ კელეპტრებივით შვენოდა!...

— უი, საუვარელო! რა მშვენიერია აქაურობა! ტიტინებდა გოგონა აღტაცებით.

დიდ ცაცხვის დაბურულ ტოტებში რაღამაც გაიშრიალა. გოგონამ თვალები იქითკენ მიაპყრა. ერთი ნაპკეკა ჩიტუნია ტოტზე ქანაობდა და საამოდ ჭიკჭიკებდა. იმისი ფრთები მზის კაშკაშ სხივებზე ოქროსავით ბჟუვიალებდნენ.

— რა ლამაზია! რა მშვენიერია! წამოიძახა გოგონამ.

პატარა ქალი სრულ კმაყოფილებასა გრძნობდა. მის აღტაცებით გაბრწყინვალეულ თვალებსა და სახესეუდ ბედნიერებისა და მსიარულობის ბეჭედი აჯდა...

უცებ რაღაც საოცარი სრინწიანი ხმა შემოესმა.

— მოო...წუა...ლეე..ბა გვიიი-ბოო-ძეთ, აგრემც დემრთიი მოოგხედავს და გაგახარებს!

გოგონა შეკრთა და უკმაყოფილოდ გაიხედა იქით, საიდანაც ხმა შემოესმა.

ღობის გარედ იდგა მათხოვარი დედბერი.

იმისი დაფლეთილ-დაკონკილი ფაღასი, იმისი გაშხდარი და დაღმეჭილი პირის სახე, წირწლიანი თვალები და ძალზე მოხრილი ტანი სრულებით არ წავაგავდა ამ საფსულის ტურფა დილის სიმშვენიერეს.

— უჰ, ეს რა უმსგავსი და სასიხლარო ვინძეა! გაივლო გულში პატარა გოგონამ: გამოუტანო საჩქაროდ პური და მოვიძორო თავიდან, თორემ მაგისი ცქერა არ შემიძლია!..

ბავშმა აიწბინა კიბეზე, შევარდა ოთახში და საჩქაროდ გამოარბევინა ჰურის ნატეხი და მიაწოდა მორიდან ღობეს იქით ატუსუღლ მათხოვარს.

— აჭა, წაიღე და მოძმორდი თავიდან, ვილაცხარ!

— მადლობელი ვარ, ჩემო ანგელოზო! გაეხარდე შენს პატრონს და ღმერთმა ჩემი წნისა მოგეაროს!... დალოცა დედებრმა და... გაუღიმა. დიმილმა სრულებით გამოცვალა ბებრის შესედულობა: ახლა იმას ისეთი ალფრსიანი, ისეთი კეთილი და სასიამოვნო სახე დაედო; ისეთი საუვარელი და მიმზიდველი გამოძეტეველება დაეხატა თვალებში, რომ პაწია გოგონა სიამოვნებითა, სინარულით შესცქეროდა და თვალს ვეღარ ამორებდა.

ახლა კი დარწმუნდა გოგონა, რომ არც ისე უმსგავსი და საზიზღარი იყო საბრალო დედებერი, როგორც ეგონა—და იმაშიაც მოიპოვებოდა სილამაზე და სიმშვენიერე!...

თეოდ. კანდელაკი.



# კატარა გურნალი.

(მოთხრობა).

I.



ომხიბვლელ სუბუქ ჰაერს ფერთოსანნი აღტაცებაში მოეეუნა, ტებილ ჰანგებსე აგალობებდა. მწვანედ გადაშლილი ველ მინდვრები მოქარგულიყენ სხვა და სხვა ფერ ვეპვილებით, რომელნიც უკმევდენ დამთრობელ გუნდრუკს. გათამამებული, ველმოღერებული ბაღასი აქა იქ

ინამებოდა ზაწია ნაკადულებისგან. ნაზირსე აძართული მცენარენი იღებდენ მაცოცხლებელ ძალას: ბუნების მეჯლისში წვლილი შეჭკონდათ. ველებს ბილიკები სჭრიდენ, მიდიმოდიოდენ, გარშემო აძართულ მთებზე კი მოსხანდა

მუნის შეფოთლილი ხშირი ტყე, რომელიც ელენელა

ძირს ეშვებოდა, წვრილმადებოდა და ბუჩქებად ქცეული ვაკე მინდვრებს კზას უთმობდა. მომსიბულელ ზატარაკს თავისკენ მიეხივნა ქალაქებიდგან გამოქცეული მცხოვრებნი, რომელნიც, სიცხისგან სულ შეკუბებულნი, სარბად ფონსავდნენ გამაცოცხლებელ მთის კრილ ჭავრს.

— შეხე, დედიკო, რა მშვენიერია ია! ამ სიტყვებით მოიბრინა სკამზე ჩამოძვდარ შუასნის ქალთან ზატარა რვა წლის ბავშმა და გაუწვდინა ვეზვილი. ქალმა გაიღიმა, ჩამოართვა და ალერსით შეხედა.

ბავშვის გაფითრებულ გამხდარ სახეს მოღალულობა ეტყობოდა. სხეულს აკლდა ბავშური ცოცხალი ძაძრობა, თვალები დაკვირვებით, ნაღვლიანად იყურებოდნენ.

— იცი, დედიკო, აი იმ ბილიკის ზემოთ უფრო ლამაზი ვეზვილებია, ვვითლები, წითლები; ფართე-ფართე ფურცლებად გაძლინან, მაგრამ ვეველანზე მეტად ეს ბალახებში ჩამძვრალი კიქმატა მოძეწონა. შეიძლება, ის ვეზვილებიც დაკვირეფო?

— არ დაიღალო, შვილო! მძლე თორმეტი საათი შესრულდება, საუზმისთვის უნდა წავიდეთ სახლში. წამალიც მისაღები გაქვს.

ბავშვს საუზმის და წამლის გასხენებაზე სასე დაულონდა და ვედრებით შესედა დედას.

— არა მშინ დედიკო, ცოტა კიდევ მოიცა, სახამ იმ ვეზვილებსაც დაკვირეფდე.

ის იყო უნდა ბავშვი გაბრუნებულიყო, რომ ამდროს, ხელ ახლა მოისმა ვედრება:

— მოწვალება მოიღეთ!

ბესიკი გამობრუნდა, დაინახა მონძებში შესვეული ბიჭი, რომელსაც ხელი გამოეწვდინა. მათხოვარი ბესიკს თვალს არ აშორებდა, ვედრებას აღრქევებდა. ქალმა ამოიღო ჯიბიდან საფულე და სამ კანაიკიანი მისცა მათხოვარს, ის ისევ იდგა და ახლა სხვებს ევედრებოდა.

— იქით დაიკარგე! შესძახა ერთმა კარგად ჩაცმულმა კაცმა, რომელიც მოჭეულებოდა ქალებს და რაღასაც განარებით ელანარაკებოდა.

როდესაც მათხოვარი დარწმუნდა, რომ აქ მეტს აღარას მიიღებდა, გაიწორა მხარსე მოგდებული ბარკი და წავიდა. ბესიკი იდგა, თვალს არ აშორებდა ბავშვს, რომელიც უურბლებას არ აქცევდა ჯავრობას და განაგრძობდა თხოვნას.

— ღმერთო ჩემო, აგდებენ და მაინც კიდევ თხოულობს! ფიქრობდა ეძაწვილი გულში.

— რას განხერდი, ბესიკ? ბარემ დაკრიფე ევაზილები და სახლში წავიდეთ! მოაგონა ამდროს დედამ. ბავშვი გამოირკვა ფიქრებიდან და გაიქცა. ბესიკი რაც უფრო წინ მიდიოდა, უფრო ერთობოდა ევაზილების კრეფაში. ერთს რომ მოგლეჯდა, უცბად თვალს მოჭკრავდა უფრო მძვენირ ევაზილს, რომელიც მაცდურად ეძნოდა. ბესიკი გაერთო ევაზილების კრეფაში და უუ-

რადღებას არ აქცევდა, როგორ მადლან-მადლან ადიოდა, შორდებოდა ჭალას. აგერ გასცდა სხვა ბავშვებს; ცოტა კიდევ და ბესიკი გაჩნდა პატარა ველზე, მუხის დიდი ხე კარგა ფართედ ჩრდილავდა თვის კარშემოს. ბესიკს მოესმა რაღაც ხმა, მოიხედა. პატარა ნაკადული საამოთ წანწკარებდა, ბესიკი წავიდა წყაროსკენ, უცბად გაჩერდა და გაცემით დაიწყო ეურება. წყაროსთან, ხის ქვეშ, ჩამჯდარიყო მათხოვარი ბიჭი, გაესხნა თვისი პარკუჭანა, ამოელაგებინა ჰურის გამძნარი ნამტვრევები, წებლში ალბობდა და იღებდა პირში. ის ისე იყო გართული ჭამაში რომ ვერც კი ხედავდა ბესიკს, რომელიც გაგანიერებული თვალებით თანდათან უახლოვდებოდა; დაკრეფილი ევაგილები ხელში მაგრა დაემუჭა; აღარც კი ახსოვდა მათი არსებობა. ამ ქამად ამისი ეურადღება სახსებით მიეპერო ახალ სანახავს. მათხოვარმა მოიხედა ამისკენ, მაგრამ ხმა არ გაუღია და სახესედაც არავითარი ცვლილება არ დასტოვობია. ის უეურებდა ბესიკს, თანაც მოურიდებლად განაგრძობდა ჰურის ჭამას. ბესიკი სულ ახლო მისულიყო და თვალს არ ამორებდა მათხოვრის თვითეულ მოძრაობას. ბესიკმა შენიშნა, რომ იმ ლუკმაზე, რომელიც უნდა პირში ჩაედო, რაღაც მიუცოცავდა. ესლბ კი გულმა ვეღარ მოუთმინა:

— აგრე არ შეჭამო!... დახედე რა მიცოცავს!... შესძახა ამან. მათხოვარმა საჩქაროდ ხელი დასწია ძირს და ლუკმას დახედა. ძარტლათაც რაღაც მწერი

იჯდა. მან გაიღიმა, ხელით მოაშორა, და შესედა ბესიკს.

— რათა ხარ ასეთი ტიტველი?.. რატომ დედაშენი ახალს არ გიკურნავს?.. ჰკითხა ბესიკმა. მათხოვარმა ნაღვლიანად გაიღიმა და მხრები აიწია.

— ძე დედა არა მკავს, წარმოხსოვია მან.

— მამ, ვისთანა ხარ ხოლმე? არ ეშვებოდა ბესიკი.

— აქ, ახლო რომ სოფელია, იქ ვარ. ხან ერთთან, ხან მეორესთან ვემსახურები და ჰურს მაჭმევენ. საფხულში კი, როცა მდიდრები მოდიან, მეც წამოვალ ხოლმე მათხოვრად.

— თხოვნა რომ კარგი არ არის.. არ შეგეძინდა წელან, რომ გაგიწერნენ, გამოგაგდეს..

— ბევრჯერ კიდევაც მცემენ ხოლმე! დაუმატა ჰატარა ბიჭმა და მძიმედ ამოიოხრა. მას გუნება შეეცვალა და ჭამას თავი დაანება.

— მამ რაღად თხოულობ?

— მძიან და იმიტომ.

— ღამე სადა გძინავს?.

— აქ, ტყეში.

ბესიკმა წარმოიდგინა ჰატარა ბიჭის მდგომარეობა და შეეცოდა. ეველახედ მეტად იმოქმედა მასკუდებობამ. როდესაც გაითვალისწინა თვისი დედა, რომელიც მუდამ თავს ევლებოდა, საძინელმა შიშმა შეინარო და თანაგრძნობისგან გული შეეკუმბა.

— არ გეშინიან ამ ტყეში? ამბობენ მკვლები იცისო!...

— მამ სად წავიდე?..

— რა გქვიათ?

— მისო! შენა?

— ბესიკი.. იცი, მისო? მე წელან დედამ ორი მხური მახუჯა შაქრის ჰური იყიდო. მოდი ამ ფულით ახალი გამოცხვარი ჰური იყიდე და ეგ გამხარი ნამტვრეკები გადაუარე. ამ სიტყვებით ბესიკმა ჯიბიდან ამოიღო თეთრი ფული და მისცა მისოს, რომელსაც გაუბრწეინდა თვალები. მისო ეხლა უფრო ნდობით უყურებდა ბესიკს.

## II

წავიდეთ, დედიკო მესძახა ბესიკმა, როდესაც მოირბინა დედასთან. ანიკო კარგა ხანს უცდიდა შვილს ამისი უურადლება იშვიათად მიიქცეოდა სოლმე სხვა ბავშვებისკენ. ეს მამინ ცოცხლდებოდა, როდესაც თავის ახლო ხედავდა ბესიკს. ამ აგარაკზედაც იმიჯომ წამოვიდა ამ საფხულს, რომ ბესიკს ესუნთქა მთის წმინდა ჭაერი და მისი სუსტი აკებულობა გამაგრებულიყო. ბესიკის მამა სამსახურის გამო ვერ გამოჰყოლოდა და ანიკოს თავის ბესიკთან ერთად უნდა გაეტარებინა აქ მთელი საფხული. ანიკომ, დაინახა თუ არა მხიარული ბესიკი, თვითონაც გაუღიმა.

— იცი, დედა, სად ვიყავი?.. ძორს, ძორს!.. მე იქა ვნახე პატარა მათხოვარი მისო; ბესიკი მივიდა

ანლო, მოხვია დედან ნიკაპზე სელი, მიიხიდა თვისკენ და წასწურწულა:

— შენ ხომ ჩემი დედანარ?..

ანიკომ ალერსით თავი დაუქნია.

— იცი, დედიკო, მინოს დედა არაა ჭყავს.. ტიტუველია და მშიერი. ღამე ტეეში სძინავს. უნდა ნახო, როგორ გამხმარ ჰურსა სჭამს?. აჩქარებით ღაპარაკობდა ბესიკი და თანაც ალერსით უსვამდა დედან ნიკაპზე სელს..

— იცი, მე რა ვქენი; დედა?. ბესიკმა კვალად ანლო მიიტანა სახე დედანთან და განაგრძო.

— შენ რომ ფული მომეცი, იმას ვაჩუქე.

— კარგად გიქნია, შვილო. კიდევაც მიეცი ხოლმე. ეჭლა კი სახლში წავიდეთ და თუ ჩემი ბიჭიკო ხარ, რმე დალიე.

ბესიკი, მხიარული, გამოუძვავ დედანს. ამათი ბინა შორს არ იყო. პატარა ხის შენობა დაფარული იყო მცენარეებით. ჰურის საჭმელ ოთახში, მაგიდაზე იდგნენ ცარიელი ჭიქები და რმით სავსე ქვებიდან ომხივარი ამოდირდა.

— თითო ჭიქა დავლიოთ და ისევე წავიდეთ, სთქვა ანიკომ. ბესიკს თუძცა ეძნელებოდა რმის დალევა, მაგრამ დედანს სათრი ველარ გაუტუნა. ბესიკი მთელი დღე დარბოდა ტოლებში და თვალთ ეკებდა მინოს, რომელიც აღარსადა სჩანდა. ამასობაში დაღამდა. ანიკომ ბესიკი სახლში წამოიყვანა დასაძინებლად. ბესი-

კი დაღბლული იყო, მაგრამ, ჩაწვა ქვეშაგებში თუ არა, გაახსენდა მისო.

— ნეტა ესლასა და სძინავს? გაიფიქრა ამან და მოუსვენრად იწყო ტრიალი ლოგინში.

ბესიკმა თვალი მოავლო ოთხს, რომელიც მუდროდ მოსჩანდა. ლამპარი საამოდ ანათებდა; მაგიდასთან იჯდა დედა, ნიღაუკსე ლოკა დაედო და ფიქრისანად გაიფიქრებოდა. ანიკოს ფერ მკრთალი სახე ამა შეიღებდა ბესიკის ამოფოთებულ გონებას. ბესიკმა თვალი მიამტკნა კედლის ერთს კუთხეს, სადაც მისი სწვა და სწვა ტანისამოსი ეკიდა, თვალი მოავლო გაკრიალებურ ლოგინს; უკვლას ამას ეტყობოდა მშობლის წრუნვა.

— მისო? მისო-კი ტიტველია! გაახსენდა ბესიკს.

— ესლას მისო ტყეშია?! დედა! შესძახა შემკრთაღმა ბესიკმა..

— რა იყო, შვილო? ანიკო საჩქაროთ მივიდა შვილთან.

— დედა, არ მეძინება, დაჯექი აქ, ჩემთან! მე მინდა, რაღაც კითხრა.. იცი, დედა, ესლას მისო ტყეშია, ტიტველი, მშიერი.. აჩქარებით ამბობდა ბავშვი, სახე გაფითრებოდა და თვალები ფართოდ გაეღო.

— რათ არის, დედიკო, მისო ისე?..

— იმიტომ, შვილო, რომ ობოლია და ღარბი..

— ჩემო დედიკო, მომეცი ნება, რომ სვალ მისო მოვიყვანო სახლში, ვაჭამო და ტანისამოსი მივცე!

— კარგი გენაცვალე! ამაღამ დაიძინე და სვალ ვიფიქროთ მაგასე, უთხრა დედამ.

მამ მოვიყვანო, მისო?.. შესძახა აღტაცებულმა ბესიკმა.

— როგორც გინდოდეს. უპასუხა ანიკომ და დაუწყო ნაზად ხელის სმა თავსე.

— ნანა მითხარი!. წარმოხსენებ კანასებით ბესიკმა.

წუთს ოთახში გაისმა ტკბილი ნარნარი სიმღერა, სიმღერის სმა მეტად მკრძნობიარე იყო და გამომხატველი უზომო წმინდა მშობლიურ სიყვარულისა. ჭანგი თავს ევლებოდა ჩათვლემილ ბავშვს და ნელ-ნელა ტკბილ ძილში გადაჭყავდა.

### III

მეორე დღეს ბესიკი, ვიდრე ჩვეულებრივ, ადრე ადგა. სულ ზატარა მისოს სსენებაში იყო და თვალთ ეძებდა.

— მე იმას უსათუოდ დღეს მოვიყვან... რანაირად გაენარდება!... რის შემდეგ დედაშვილი ჭალაში წავიდნენ. გაისმა სამხედრო მუსიკის გრიალი. ხალხი აირია. ბესიკიც მსიარულად დასტოდა ტოლებში, მაგრამ უცბად მოაგონდა მისო, მიატოვა ამხანაგები დაჭევა ძაღლობს. ეს გავიდა ველსე, მაგრამ ვისაც ეძებდა, აქ აღარ იყო.

— დეურთო, ჩემო, წუსელების მკლებმა ხომ არ შეჭამეს?.. გაიფიქრა ბესიკმა და თავს უსაყვედურა, რომ



წუხელისვე არ წამოიყვანა. ის იყო ბესიკი აზირობდა  
კამობრუნებას, რომ თვალი მოჰკრა შორს, სის ქვეშ  
რბლასაც. ბესიკმა გადასწევიტა ახლო მისულიყო და  
ფეხს გაუჩქარა. როდესაც ახლო მივიდა, იცნო მისო.  
ეს დედამისზე იწვა და შუბლზე ხელები დაეფარე-  
ბინა.

— რათა წევსარ, მისო? გაუბედავად ჰკითხა ბე-  
სიკმა.

— შენა, ბესიკ? შესძახა დიმილით მისომ და წა-  
მოდგა.

— ცოტა თავი შეტკინა და წამოფეჭი, განაგრძო  
ძან.

— იცი, მისო, მე მოვედი, რომ... რომ... ბესი-  
კი დაიბნა და ველარ მოახერხა გათავება.

მისო ისევე დიმილით უეურობდა. იქვე ეყარა გა-  
მძმარი ზურები.

— ჯერ კიდევ არ გაგითავებია ეს ზურები? ჰკი-  
თხა ბესიკმა.

— არა, ძალიან გამძმარია და ვერ ვჭამე.. უპა-  
სუნა მისომ და ნაღვლიანად გადახედა ნასორსლებს.

— წამოდი ჩვენთან, მისო. მე შენ რძეს დაგაღუ-  
ვინებ, ტანისამოსს მოგცემ, დარცხვენით უთხრა ბესი-  
კმა. მისოს თვალები გაუგანიერდა და გაოცებით შე-  
ახერხდა ბესიკს.

— გუშინ დედას ვთხოვე, მისოს მოვიყვან მეთქი  
და იმანაც ნება მომცა. ახა, მამ ამ სიშორესედ სად

მოგიტანონ საჭმელი, ან ტანისაძოსი? აღარ ეშვებოდა ბესიკი.

ბავშვის წრფელი სახე არწმუნებდა მისოს, რომ არ ეხუმრებოდა. წუთს დაბეჩავებულ გულში რბლაც სითბო და სიამოვნება იგრძნო და მადლობით შეხედა ბესიკს; შემდეგ დასწვდა თავის ჰარკს ასაღებად.

ბესიკი მიდიოდა გაჩქარებული, მას უკან მიჰყვებოდა მისო.

— აგერა დედა, მისო მოძეავს!. შესძახა შორიდანვე ბესიკმა დედას.

ანიკომ მოხედა მისოს, რომელიც შემკრთალი იყურებოდა. ანიკომ ორივე ბავშვები წამოიყვანა სასაღამოში; მისო გაჩერდა კარებთან და ვერ ბედავდა სასაღამოში შესვლას.

— ოთახში მოდი, მისო, ეპატიეებოდა ბესიკი, მაგრამ მისო არ უჯერებდა.

— რატომ არ მოხვალ, მისო! დაუძახა თანაგრძნობით ანიკომ და ხელი მოჰკიდა ბავშვს, მისომ ესაა კი მისდო ჰარკი აივნის კუთხეში და თავი დაღუნული, დიმილით გამოჰქევა ბესიკს. ანიკომ დაასწა ჭიქებსე რძე და მისთავას მისოს, რომელიც მომადლებით ჩამოჯდა სკამზე. ეს კარგა ხანს არ ინძრეოდა, გაძტვრებული იდგა და იყურებოდა გარშემო; არა სჯეროდა, რომ ეს თეთრი პური და რძე მისოსთვის დაედგათ; ვერ ბედავდა შეხებოდა მათ.

ანიკომ, მიატოვა ბავშვები და, როდესაც მისომ

მარტოდ იგრძნო თავი ბესიკთან ერთად, შვებით ამო-  
ისუნთქა, ცოტა წათამამდა და ხელი წაიღო გემრიელ  
საჭმლისკენ.

IV

დაბნეულ კასუფთავებული მისი მიძვირული ბიჭი  
მოსჩანდა. ეს აღარ იეურებოდა დაღონებული, მის  
თვალებში კრთებოდნენ აღტაცება და ბედნიერება, მო-  
ღონიერდა, ფერი მოუვიდა და სიცოცხლით აღსავსე  
თამამად იეურებოდა. ეს კატასავით ცოცხავდა ხეებზე,  
მარჯვედ დაბოდა და ბესიკსაც ასწავლიდა ეველ ამას.  
ბესიკიც გამოძრთელდა, გასუქდა, გაცრეცილი სახე  
შეუწითლდა, მკლავები გაუმავრდნენ და ანიკოს აღ-  
ტაცებას, ბედნიერებასსამსჯვარი დაჰკარგოდა, რომ მი-  
ხო ბესიკს უებარ მკურნალად გამოადგა.

ანასტ. ერისთავი-ხოშტარიანი.





## სახალწლო.




ილა წყნარი და მშვიდი,  
ღრუბელი არსად სრიალებს,  
ცა ლოყა გაწითლებული  
ნაკვერჩხალივით პრიალებს  
ხალხი იღვიძებს, ბუხრებში  
ნუგუზლის ჩინჩხლი ტრიალებს  
ჰაერში ასულ ნაპერწკლებს  
ნიაფი აბორიალებს.

ძველს ისტუმრებენ წელიწადს  
ახლისთვის ემზადებიან,  
ყველა დიდი და პატარა  
დღეის დღეს ფეხზე დგებიან.  
და ულოცავენ ერთმანეთს  
სიხარულითა ახალ-წელს,  
თან ნატრულობენ გულშია  
არ დაემგზავსოს ესეც ძველს.

რომ არ შეუკრას გზა-კვალი  
სწავლას და განათლებასა  
და მისცეს ფართო საფანე  
ცხოვრების განახლებასა.  
რომ ყველგან ყველას შვილები  
დღითი დღე იფურჩქნებოდნენ  
და სწავლას მოწყურებულნი  
გულ-ხარბად ეწაფებოდნენ.

შ. მღვიმელი.



## პატარა მეცხვარე.

(სამეგრელოს ცხოვრებიდან).



რევეტ! ცქა! აც! რევეტ! — გაისმა ტრიალის მინდორ-  
 ზე გამოსულ ცხვრის ჯოგის უკან. პატარა მეცხვრეს  
 ოციო ცხვარი წინ გაერეკა, მხარზე მოზრდილი კომბალი გადაე-  
 დო და გულ მოდგინეთ მოაბიჯებდა წინ, თან ყურადღებით ათვა-  
 ლიერებდა მიდამოს, თითქოს ვიღაცას ათვალთვალეხსო. სახე  
 ბროწეულივით გაწითლებოდა. თავი შავის ყაბალახით შეე-  
 ხვია, ტანზე პატარა ცალ-გვერდი და ერთი სახელო მოგლე-  
 ჯილი ჩოხა ეცვა, რომლის კალთები წელზე შემოხრულ  
 უბრალო სარტყელში ჩაეწია. ფეხებზე ტყავის ქალამანი ეცვა.

საღამო ჟამი იყო. ციოდა. მოწმენდილ ცაზე აქა იქ  
 ბოდილობდა რამდენიმე პრყლად გაერთებული ობოლი ღრუ-  
 ბელი. უდაბურს ტყეში ღრო-გამოშვებით გაისმოდა დამფრ-

თხალი შაშვის ქახჭახი, რომელსაც მეორე მხრით ბელურების ნაღვლიანი კენესა აძლევდა ბანს. ჰაერში სუსხის სუნი დატრიალებდა. ტრიალი მინდორი, სადაც ჩვენი პატარა მეცხვარე გამოვიდა ხომლის ქვემოლ მდებარეობდა. მეცხვარე მთელი დღე ამ ხომლზე და მის კალთებზე აძოვებდა ცხვარს, ხოლო საღამოს ხანს ის იყო ჩვეულებრივ ქვევით ჩამორეკა საქონელი. მინდვრის ბოლო გაიარა და სასოფლე გზას დაადგა. აქ კი, რადგან ირგვლივ ხეები იყვნენ, ბნელოდა, შიშის გასათანტავად, როგორც ხშირად იცოდა ხოლმე ჩვენმა პატარამ, ერთი ღონივრად შემოსძახა თავისი ახლად დასწავლული ლექსი, რომელიც მას ასე ძალიან უყვარდა.

ძმობას ერთობას სიყვარულს...

დაუღვათ ტახტი ქებული... ქებული...

ძირს ჩამოვავდოთ მტარვალი... მტარვალი...

ღვთისაგან შეჩვენებული...

ის მღეროდა, ცხვრები მწყობრად მიდიოდნენ. ტყეში მხოლოდ აქა-იქ ფრთხიალებდა დამფრთხალი შაშვი.

ცოტა ხანი და მეცხვარე უკვე მეორე ტრიალს მინდორზე გამოვიდა. მინდვრის შუაზე სასოფლო შარა გზა გადადიოდა, ხოლო ბოლოზე რამდენიმე ისლით გადახურულს სახლზე ბოლი ადიოდა.

როცა აქ გამოვიდა, პატარა მეცხვარეს გულზე მოეშვა, თვალებზე სიცივისაგან მომდგარი ცრემლები ამოიხოცა ჩოხის სახელოთი და სწორე გახედა მინდორს. შორით ვიღაც მხარზე ნაჯახ-გადადებული, ნაბდის ქუდით და უფერო ძველ ჩოხაში ჩაცმული, ქალარა კაცი მოემართებოდა.

— პიმენ! შენა ხარ, შვილო! არ გითხარ უფრო ადრე დაბრუნდი-მეთქი. წადი—გარეკე... „აკვეკვერე“ და „აკვეზერე“ ამოარჩევინე იქ გოგოს და სახლში—ეზოში შეიყვანეთ; მე ახლავ დავბრუნდები, აგერ შეშას მოგჭკრი.

პიმენმა გულდასმით მოისმინა მოხუცის მამის გერიას ნალაპარაკევი, უკან მობრუნდა, და, როგორც ჩვეულებრივ იცოდა ხოლმე ამ ადგილზე, ცხვრებს თვლა დაუწყო. „აკვე-

კვერე“ და „კვეზერე“ მეთე და მეთერთმეტედ დათვალა. აქ შეჩერდა და უცბად მამის სიტყვები გაახსენდა: „კვეკვერე“ და „კვეზერე“ სახლში შერეკეთო... „რას ნიშნავს ეს? ხომ არ უნდათ... დაჰკლან... ან გაყიდონ... მაგრამ არა... განა სხვა ცხვრები არ არიან, რატომ მაინც და-მაინც იმათ დავკლავთ... გაიფიქრა გულში და მთელი თავისი ყურადღება იქითკენ მიაპყრო, საითაც ორი დაბალ-დაბალი, რქებ მოქნილი, ბამბასავით თეთრი ბეწვიანი, ერთის ტანის ცხვარი ერთმანეთს მიკროდნენ და ერთად მიემართებოდნენ ბაკისაკენ. პიმენმა ერთხანს თვალი გააყოლა მათ და შემდეგ, როცა ყველა ბაკში შერეკა, ხმა-მადლა დაუძახა პატარა დას:

— ელუ! ელუკი!

კედლებ გამჰვარტლულ, ისლით გადახურულ სახლიდან პატარა ცხრა-ათის წლის გოგონა გამოვიდა, ტუჩები გაფითრებოდა, შიშველი ფეხები ცაცაბში ჩადგა. ელუკიმ თვალები აცქვიტა და პიმენის პირველ დანახვისათნავე მიხვდა, თუ რისთვის ეძახდნენ.

— ცხვრები დავამწყვდიო ჯერ?—ჰკითხა სხვათა შორის ჩაფიქრებულს პიმენს, რომელიც, როგორც სხვა დროს, მხიარულად არ იყო ხოლმე, და გაუარა...

— არა...—პიმენი შეჩერდა, თითქოს რაღაცას ჰფიქრობსო,—ბაბამ \*) სთქვა „კვეკვერე“ და „კვეზერე“ სახლში შემოიყვანეთო. სთქვა ესა და არც-კი უცდია კიდევ აქსნა დისთვის, გზა განაგრძო და საჩქაროდ სახლშიაც შევიდა.

სახლი ფუტით იყო სავსე. ტანისამოს შემოაცვეთილი ფეხტირველა დედაკაცი კერაზე მჯდარს აცხობდა, მის მახლობლად პატარა ქოთნით ლობიო დუღდა—ბუტბუტებდა, ხოლო სახლის ერთ კუთხეში დაქრილი შეშები ეწყო, მეორეგან კი პატარა მესერი ერქო მიწაზე და მის წინ ჩალის ნაფლეთები ეყარა, სჩანდა აქ საქონელი ჰყოლოდათ. პიმენი ულაზათოდ შევიდა სახლში და გაბუტული კერას მეორე მხრით დაჯდა.

\*) მამამ.

— შეილო... მოდი? უუჰ! გაიხადე ფეხზე. ეხლავ თბილ წყალში ჩადგი ფეხები, არ გაცივდე...—სთქვა დედამ ცუცუმ და საჩქაროდ შეეკითხა შეილს:

— მამა-შენი არ გინახავს?

— ენახე, — უღაზათოდ უპასუხა პიმენმა.

— სად წავიდა?

— შეშას მოვიტანო!

პიმენი ისევ გაიბუტა, ხოლო დედამ ცეცხლს შეშა ჩაუმატა და იქ ჩამოკიდებულ რკინის ნაჭა წყლით სავსე ქვაბი ჩამოჭკიდა.

— მითხარ, მამას შეშა არ წაუღია გასაყიდად ქალაქში?

— არა! არ ეცალა შეილო, აი ღორი...

პიმენმა ხელად იქითკენ გაიხედა, საითაც დედამ თვალით უჩვენა.

დაჰკლა, დღეობისათვის... მოზრდილი ღორი თოკით ეკიდა კუთხეში, გამოშვებული, გაწმენდილი. მერმე შეშამ კიდევ გააჭირა საქმე. ზამთარია... ცივა... ხვალ აპირებს ბაზარში წასვლას.

— რას? — უცბად, ელდანაცემივით შეეკითხა დედას პიმენი.

— ხვალ წავა ბაზარში, შეშას გაყიდის, ცხვარს წავიყვანო კიდევ... გიყიდის, შეილო, ნუ გეშინიან, ყველაფერს გიყიდის შობას ეკლესიაში წადით შენ და ელუკი, მე სადილს დაგახვედრებთ...

— რომელ ცხვარს წავიყვანო? — დედის ნათქვამიდან მხოლოდ ეს სიტყვები გამოკრიბა პიმენმა.

— არ ვიცი, შეილო, გამოარჩევს რომელიმეს...

— „კვეკვერე“ და „კვეზერე“ ხომ არ უნდა გაყიდოს?

— რომელი?! სულ ერთია, შეილო, რომელიც უნდა გაყიდოს... ადამიანის სადღეგრძელოდ და სახეიროდ წასულოყვეს ყველა... ჩვენ კარგად ვიქნეთ და...

პიმენი ისევ გაიბუტა. ცოტა ხანში ელუკიც გამოჩნდა, მას უკან თოკით კისერზე ორი ცხვარი მოჰყავდა, ცოტა ხან-

ში სახლის დერეფანზე ბრახუნი გაისმა და აღმოკვნესა, ეს პი-  
მენის მამა იყო, შეშა დაყარა. გარედ ბნელოდა უკვე. აქა-იქ-  
ლორების ჭყვირილი გაისმოდა: ეს სოფლელები—მეგრელები  
საშობაო ღორებს ჰკლავდნენ მესამე დღისთვის, შობისათვის.  
როცა მამამ კარი შეაღო სახლში, პიმენმა თავი ძირს დაღუ-  
ნა, ფეხები მაგრად ჩაჰყო მის წინ დედისაგან დადგმულ თბილს  
წყალში და მარჯვენა ხელით უგულოდ დაბანა დაიწყო.

— აბა, ცეცხლი შეუნთეთ, რა ამბავია, რომ ბნელაში  
ზიხართ!—სთქვა ოჯახის მამასახლისმა და იქვე კერის მახლობ-  
ლად ჯირკვ-სკამზე მოიკალათა.

— აბა, შვილო პიმენ, ხვალ ამ ცხვრებს წაიყვან და გა-  
ყიდი... როგორც გაგივიდეს, ისე გაყიდე, ზოვირამ უნდა ვი-  
ყილოთ. მე ცოტა საქმეები მაქვს აქეთ, დღეს რალაცეკლე-  
სიის საქმეზე გვაქვს მოლაპარაკება და სადილობამდის მივალ-  
თუ მალე გაყიდე, მალე მოდი, მე აქ სადილს ვსჭამ და მე-  
რმე წავალ ბაზარში...

ამ სიტყვებს სიბრაზით ისმენდა პიმენი.

— რატომ „კვეკვერე“ და „კვეზერე“... სხვას წავიყვან  
გასაყიდად!..

— ეგ შენია, შვილო... ეგ ორი ცხვარი შენია და შენ  
უნდა მოგახმარო, ტანისამოსი უნდა გიყილო...

— ჩემია...—პიმენმა თავი ჩალუნა.

მამამ კიდევ განკარგულება გასცა ცეცხლისთვის დაჭრი-  
ლი შეშა შეემატნათ... საჩქაროდ ვახშამსაც მორჩნენ...

\*  
\* \*

კუთხეში გაშლილ ლოგინზე იწვა პიმენი და ნახევარ სი-  
ნათლეში მეორე კუთხისკენ ერთი მეორის მახლობლად მწო-  
ლარე ცხვრებს გაჰყურებდა...

მამა ღორის შიგნებს არჩევდა და ცეცხლში სწუმენდა.

\*  
\* \*

როგორ ჰყიდი, ბოვშო!—პიმენმა საჩქაროდ გახედა ლო-  
ბეზე უზრუნველად გადმომდგარს ახალვაზდა კაცს, რომელ-

საც გვერდზე ახალგაზდა, კობტად ჩაცმული ქალი ედვა. მახლობელ სახლის აივნისა და კიდეც ერთი ბებერი დედაკაცი იყურებოდა, რომელსაც სათვალეები შეესვა ცხვირზე.

გზატყვევებზე, რომელსაც ნახევარ ვერსის მანძილზე პირდაპირ დაბა ახლდა—აქა-იქ სოფლიდან მომავალი ხალხი იდგა და შემთხვევით შემხვდარ ვაჭრებს ევაჭრებოდა. პიმენს წინ გაერეკა „კვეზერე“ და „კვეკვერე“ და დალონებული კომბლით ხელში ბაზრისკენ მიაბიჯებდა, როცა ძახილი მოესმა.

— ოთხი მანეთი, ბატონო!—ცქვიტად, თითქოს ახლა გამოერკვაო, უპასუხა პიმენმა.

— ბიჭო! რა ნახე! სადაური ოთხი მანეთი! ორი მანეთი, ბიძია, ორი!..

— არა, ბატონო!—პიმენმა გზა განაგრძო.

ქალაქში ბევრი იარა, მაგრამ ვერსად ვერ შეხვდა სარგო მუშტარს, ყველგან მხოლოდ ორ ორ ნახევარ მანათს აძლევდნენ.

— წამოდი, ბოვშო! სამი მანათი მოგცე!—უთხრა პიმენს ერთმა კაცმა, რომელიც გზაზე შეხვდა, —მეტს არავინ მოგცემს...

პიმენი შეყოყმანდა. ყოყმანში მხოლოდ ამას ლაპარაკობდა:

— ოთხი, ოთხი მომეცი.

— არა, ბიძია, არა.—და მუშტარი გაბრუნდა.

— სამი ნახევარი, არ გინდა?—პიმენი წამოწითლდა ამ სიტყვებზე და გამოცდილ ვაჭარივით ცხვარს ქება-დიდება დაუწყო.

— სამი ბიძია, სამი;—სთქვა და უდარდელად გზას გაუდგა ვაჭარი.

— მიირთვი, —ბოლოს გაბედა პიმენმა თქმა, —სად წავიყვანოთ!

— აი, სახლში წამომყევი.

კოტა ხანს შემდეგ სახლის ეზოშიაც შევიდნენ. კაცმა ცხვარს სინჯვა დაუწყო, ხან „კვეკვერეს“ მოჰკიდებდა კეფაზე ხელს, ხან კიდეც „კვეზერეს“ გაუშინჯავდა ფეხებს...

## პატარა მეცხვარე

— აი, ეს,—მიუთითა „კვეზერეზე“ მუშტარმა,—აქვე გაატყავე!

— როგორ? მე? მე არა მცალიან,—პიმენი შეჰკრთა, ფერი ეცვალა,—მე არ შემიძლიან...

— აბა წადი, წაიყვანე, მე ხომ ვერ გავატყავებ?

— ბატონო!—პიმენმა მეტის თქმა ვერ მოახერხა, ათროლოებული იქავ ხეზე მიაკრა ორივე და საჩქაროდ დანაც გაუსვა.

ცოტა ხანში პიმენმა ყველაფერი დაამზადა, ფულიც აიღო, „კვეზერეს“ სული ამოართვა დაჰკლა, გაატყავა, დახსნა და პატარა დაუცადა. ცოტა ხანში გარინდებული ქისკარშიაც გავიდა...

— როგორ ყიდი ცხვარს? შეხვდა იქავ ცხენოსანი მოხუცი.

— ოთხი მანეთი, ბატონო!

— არა, სამ ნახევარს მოგცემ, შეილო!

— არა, ბატონო!

— კი, შეილო, მე დასაყენებლად მინდა, მოსაკლავად არ მინდა... ლამაზი ცხვარია... მეტი არ ღირს...—მოხუცი ცხენიდან ჩამოხტა და ცხვარს სინჯვა დაუწყო.

„მოსაკლავად არ მინდა“, ეს სიტყვა გულში ეძგერა პიმენს, ცოტა ხანი შეფიქრდა და შემდეგ გადაწყვეტით მიუგო მოხუცს:

— მიირთვიო ბატონო.

\*  
\*

სწორეთ შუა დღე იყო რომ პიმენი გზას გაუდგა.

გზაზე ნაწვიმარი ტყლაპო-ტალახი იდგა. მზე ცივად გამოიყურებოდა ციდან. ცის გუმბათზე აქა-იქ ცელქი და ბამბის ნაფლეთებივით თეთრი ღრუბელი მიცოცავდა. ჰაერში საგრძნობი სუსხი იდგა.

სიცივისგან აკანკალებული, დაღონებული მიემართებოდა პიმენა სახლისკენ. თავში ათასნაირი ფიქრნ ერეოდა; მოკლე შალის პალტოს ჯიბეში ედგა თავის „კვეკვერე“ და „კვეზერეს“ ფასი... გული უღონდებოდა ამის წარმოდგენაზე. „კვე-

კვერე“ და „კვეზერე“ აღარ უნდა გაერეკა ამის შემდეგ, ისინი აღარ დაამშვენებენ პიმენის ცხვრის ფარას...

— ჭახ... ჭახ... ჭახ... — აქა-იქ ხეებიდან ხეებზე დამფრთხალი შაშვები გარბოდენ.

პიმენი გამოერკვა. მის წინ გადაშლილ მინდვრის ბოლოზე მოხუცი მამა მისი, გლეხი გერია გამოჩნდა. პიმენი საჩქაროდ მისკენ გაემართა. ხელებში ცხვრის თოკები ეჭირა.

— ერთი სამ მანეთში — „კვეკვერე“... „კვეზერე“ — სამნახევარში... გავყიდე... — დაღონებულად, თითქოს გაუბედვად გამოელაპარაკა მამას.

— კარგი... შვილო... უუჰ, დაწუნწულხარ... აბა... ხვალ შობაა... რამე უნდა გიყიდო ტანისამოსი...

პიმენმა ჯიბიდან ფულები ამოიღო და მამას გადასცა...

სახლში ყველაფერი დაალაგეთ... მე მალე მოვალ... — უკანასკნელად დაიბარა მამამ და გზას გაუდგა.

— ძმობას, ერთობას, სიყვარულს... სიყვარულს... დავუდგათ ტახტი ქებული... დავუდგათ... ზუზუნებდა პიმენა ამ სიტყვებს და ფეხ-აკრეფით შინისაკენ მიექჩარებოდა.

\* \*

შელოამებული იყო. თოვლით გადალესილი დედა-მიწა რაღაც საიდუმლოებას მოეცვა. ქარი ძალუმად ჰქროდა და ჰაერში აუტანელ სიცივეს აბნევდა. ტრიალს მინდორზე სამარისებური სიჩუმე იდგა. აქა-იქ მინდვრის კუთხეებზე მოშორებით ვიწრო ქოხებში ხვრელებიდან ვიწრო სინათლე გამოკიანთობდა, ხოლო ქოხის თავზე კერის პირდაპირ თოვლი დამდნარიყო და ისლზე სქელი ქუდიანი ბოლი აღიოდა, ეს დამის სინათლეში გვარიანად სჩანდა... ქოხებში დრო-გამოშვებითი ბოვშვის ლიტინი, ნანინას სიმღერა, ახალგაზდათა შეკავებული სიცილი ერთმანეთში ირეოდა... დრო-გამოშვებით ამათ ერთგან მოხუცის ბოხი ხმაც გაერეოდა, რომელიც განკარგულებას იძლეოდა კერაზე ცეცხლი დაეხომიერებინათ, რომ „ხმიადები“ ნამეტანი არ დამწვარიყო და არ წახდენი-

ლიყო... ეს სოფლები იყვნენ. მეორე დღისთვის, იესო ქრისტეს შობა დღისთვის, ემზადებოდნენ ისინი...

— რა რეეტ! ცქე! ცქე! ცქე!—გაისმა ყრუდ შორს მინდვრის იქით, სადღაც კუთხეში...

— რა რეეტ!—გამოეხმაურა ამ ძახილს მტვერი. ქოხში ყველამ ერთბაშად სული მინაბა. ერთ წუთში უფროსის ბრძანებითი კილო გაისმა და პატარების სიცილ-ხარხარი შესწყდა.

— გარედ გამოიხედე, სოფიო, კარი გააღე ვინაა აბა... სსუთ, ბაღებო!—გაისმა დედაკაცის ხმა. უცბად ერთმა პატარა გოგუცამ ხის დარაბებ-ჩამოგდებული ქოხის კარი გააღო და გარედ გაიხედა.

— უჰ! რა ბნელა!—სთქვა მან და ყურები სცქვიტა!

— რა რეეტ! ცქე! ცქე!—მოისმა დაახლოვებული ხმა და ძახილი:—სოფიო! ოო, სოფიო!

— ჩვენ გვეძახი?—წვრილის, სიცივისგან აკანკალებულის ხმით შეეკითხა პატარა სოფიო უცნობს.

— სოფიო, თუ ღმერთი გწამს, იქნებ ვინმე შენიანებმა ჩემი ცხვრები ნახეს დღეს, შუადღეზე კახაკებს გაურეკიათ... ვეღარ ვნახეთ... იქნებ სადმე რომელიმე ცხვარს თვალი მოჰკარით!

— პიმენია! პიმენის ხმაა, —ქოხში შიგნიდან გამოეღაპარაკა დედა გაჩუმებულ სოფიოს და დასძინა:—უზახარი დღეს შუა-დღეზე ჩვენი შეიარაღებული ბიჭები გაედევნენ კახაკებს-თქო. იმათ გარეკეს სოფლის გზით—ჩვენ ვხედავდით-თქო.

სოფიომ დაწყობილად, ხმა-მალლა გაუმეორა პიმენს დედის ნათქვამი. ერთს წუთში სიწყნარე ჩამოვარდა. სოფიომ კარები შეიკეტა ქოხში.

— რა რეეეტ! ცქე! ცქე! ცქე! ცქე! ცქე!—გაისმა ისევ რამდენიმე წუთის შემდეგ შორს, მტვერის მეორე კუთხისკენ.

\* \*

შუა-ღამე გადასული იყო. გერიას კარ-მიდამოზე სიჩუმე იდგა, მხოლოდ იქ, სადაც გერიის ბოძებ-მიბრუნებული ძველი ნალია იდგა ეზოს ქისკრის გვერდით, გერიას კარმიდამოს

მუდმივი ერთგული დარაჯი ძალი ჰყვოდა და გაშეშებული ადგილიდან არ იძვროდა, თითქოს რაღაცამ საგონებელში ჩააგდო. მურას ამ ერთის საათის წინ ჰაერში ნაცნობი ხმები ესმოდა და უცდიდა, სანამ იგივე ხმები, პიმენას „ცქე! ცქეს“ ძახილს დაახლოვდებოდა... მაგრამ ირგვლივ ისევ სიჩუმე იდგა. გერიას ქოხში ჭრუჭრუტანებიდან ცეცხლი გამოსჩანდა, შიგნით კერაზე ფიქრებში გართული ცუცუ უჯდა ცეცხლს, მის გვერდით კეცებზე „ხმიადები“ იწვოდა, ხოლო იქვე კუთხეში ლოგინის ნაფლეთებზე ელუკის ეძინა.

მურა ყვოდა.

ცუცუს ათასნაირი ფიქრები ერეოდა თავში. განსაკუთრებით დააფიქრა იმან, რომ გერიაც არ მოდიოდა ამდენი ხანი ბაზრიდან.—რა ამბავია, ღმერთო! საშინელება! ან პიმენი რომ დაგვეკარგოს... ელუკი! ელუკი! —გაელაპარაკა და გაიხედა უგრძობლად და უდარდელად კუთხეში ლოგინზე გაშხლართულ პატარა გოგონასკენ დედამ. მაგრამ ელუკის ეძინა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მურამაც შესწყვიტა რამდენიმე წუთით ყვოდა.

ცუცუ სმენად იყო გადაქცეული.

შორს ყრუდ სროლა გაისმა... ერთი... ორი... ცუცუს ელდა ეცა... „პიმენა! შვილო!“—გულში ხელი ჩაიკრა, მაგრამ ერთს წუთში ისევ გონს მოვიდა. დაფიქრდა... უცბად შორიდან ჭისკრის ჭრიალიც მოესმა და ქოხშიაც მოაკაკუნა ვილაცამ.

—სოფიო ვარ, სოფიო!—გაისმა გარედან ცუცუსათვის ნაცნობი ხმა. ერთს წუთში ცუცუს გული გაღუტრიალდა ცნობის მოყვარეობით შეპყრობილი კარის დარაბებს მივარდა გასაღებად.

—ცუცუ... აღარ მოსულა პიმენი!.. თქვენი ცხვრები კახაკებმა გარეკეს... არც გერიაა? სად არი?—დაფანტულად ლაპარაკობდა პატარა გოგო, სიცივისგან აკანკალებული. ფეხები სამუგვის წულეებში ჩაეწყო უჩუქოთ და კერაზე ითბობდა.

— რა ამბავია, სოფიო! რა იცი! ვინ... სად... — ცუცს მოუთმენლად ეკითხებოდა სოფიოს.

— ახლა თოფის ხმა მოისმა. არ ვიცი რას იზმენ... კახაკები... დედამ თქვა ცუცუსთან წადი, არ შეეშინდესო...

ცუცუს სიცივემ და გამოურკვეველმა შიშმა ძაგძაგი დააწყებინა...

— არ წახვიდე, სოფო! აქ დარჩი შენი ჭირიმე — ცუცუმ სოფო ახლო მოისვა. ცოტა ხნის შემდეგ კეციდან ერთი „ხმიანი“ ამოაგდო და შუაზე გაუტეხა.

\* \*

ქარი კვლავაც სისინებდა. დაზურვა ტყეებში რამდენიმე დამფრთხალმა შაშვმა გადიქახჭახა ღამის სუსხში. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ და თვალებს ქუჭავდნენ — თვალვადუწვდენელ ცის გუმბათზე.

ძირს, დედამიწაზე გერიას კარ-მიდამოს მახლობლად ჯერ-ჯერობით მხოლოდ მურას დრო-გამოშვებითი ყეფა არღვევდა მყუდროებას.

გათენება მოახლოვებული იყო, მაგრამ არვინ არსაით სჩანდა. გერიას ქოხში ცუცუს დროგამოშვებითი გულ დაწყვეტილი ტუტუნ-ფურჩული ისმოდა.

\* \*

შობა დილა გათენდა. გერია და პიმენი ორივე დაღონებული-ჩაფიქრებულები სახლში დაბრუნდნენ. ცუცუს, როგორც იყო გულზე მოეშვა, როცა ქმარ-შვილი ცოცხალი ნახა, მაგრამ ძალიან ეწყინა, როცა მათგან გაიგო, რომ „კვეკვერე“ და „კვეზერეს“ ფასს გერიასთვის ყაზახებს წაერთვათ... დაღონებული მოუჯდა გერია კერას, მის პირდაპირ პიმენიც დაჯდა.

— ცხვრები... ცხვრები ვერ ნახეთ, — როგორც იყო წარმოსთქვა ცუცუმ, რომელიც აქამდე ვერ ბედავდა ქმრის შეკითხვას, რადგანაც ხედავდა, რომ ქმარ-შვილი ცუდ, დაღვრემილ გუნებაზე იყვნენ დაბრუნებულნი.

— თავი დამანებეთ... — დამადლებით გადულაპარაკა დედას პიმენმა და პირი მეორე მხრით იბრუნა.

გერია ხმა-ამოუღებლივ კერიას ჩასჩერებოდა.

იქვე მყოფმა სოფომ, რომელსაც ცუცუ არ იცილებდა ცალკე გაიხმო პიმენი და ყველაფერი გამოკითხა. პიმენი მოჰყვა. მის დედასაც წაუგდო ყური.

— ჩვენი ცხვრები ხუთი არაა... სადღაც წაუყვანიათ კახაკებს... სხვები წითელ რაზმელებს ჰყავთ დამწყვდეული, ხვალ გამოიძიებენ ყველაფერს და ჩაგვაბარებენ... ერთი კახაკი მოჰკლეს წუხელის ჩვენებმა... მე პირდაპირ ბაზარში ჩაველ და ბაბას იქ შევხვდი... ხვალ გამოიძიებენ და სხვა ცხვრებს ჩაგვაბარებენ...

ცუცუს ცრემლები გადმოუვარდა... მაგრამ... უცბად თითქმის ყველაფერი დაივიწყაო, ნუგეში დაიწყო, „რა იყო მერე... არაფერია, შეილო, ჩვენი ხუთი ცხვარი—იმათი ერთი კაცი... თუნდ კიდევ ხუთი წაიყვანონ, დღევანდელი დღე სხვა დღეა... არაფერია... სოფო! შენ აქ იყავი... აბა სადილი ვაგვეთოთ... აქ იყავი, შეილო!..“

ცუცუ სადილის სამზადისს შეუდგა...

სოფლის ეკკლესიის ზარებიც ჩამოჰკრეს.

— დეგელოცა, ღმერთო, სამართალი! დაილოცოს შენი... სამართალი!—გერია აქამდე ჩაფიქრებულად კერასთან მჯდარი გარედ გამოვიდა ამ სიტყვებით... ჰაერში მახლობელ ეკკლესიის ზარების გუგუნე ისმოდა. ცა მოსარკული იყო. მიდამო თოვლში იყო ჩაყინული... სიცივისგან აბურძგნილი ბედურეები ნისკარტებს იწმენდდნენ და ხეებიდან ეალერსებოდნენ გულუბრყვილონი ამოსულ მზეს, თითქოს ამ უკანასკნელს უზომო სუსხში მათი გათბობა შეეძლო...

გერია მნალიასკენ გაიარა. წინ მურა შეეგება. „კარგი ფეხისაა დილაზე ძაღლი, გაიფიქრა, და გაყინულ ქისკარზე იდაყვი დაადო და შორით მომავალ შავ წერტილებს მიაპყრო თავისი ყურადღება... ესენი საჩქაროდ დაახლოვდნენ.“

— შენი ცხვრები ჩაიბარე, სადაა პიმენა, წამორეკას აგერაა გოჩას ბავში, ათია, სხვები—ერთი ვნახეთ თოვის ტყვიით მოკლული ხრამში გადაეგდოთ, მაგრამ ნადირს წუხელსავე

გაფუჭებინა, ხორცად აღარ ექმევა კაცს... სხვა ზაკებმა წაიღეს—ამ სიტყვებით მიესალმა გერიას რამდენიმე შეიარაღებული ახალგაზდა მეგრელი. ნაბადში ბერდანის თოფები უჩანდათ, თავი მაგრად მეგრულ ყაბალახით ჰქონდათ შეკრული...

— კაზაკი სადაა?—შეეკითხა მოხელეებს დალონებულად გერია.

— რომელი, მოკლული?

— ჰო!

— მოკლული იქ სასამართლოში დავასვენეთ. მთავრობას შევატყობინეთ ყველაფერი, მაგრამ ეგ ხვალ... პიმენა გამოგვყვებს... პიმენა!

საჩქაროდ ქოხიდან პიმენაც გამოვიდა ცქვიტად და მოსულებს გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ პიმენაც დაბრუნდა ცხვრებით.

— აბა, შვილო, — ქისკარში მიეგება პატარა მეცხვარეს გერია, — ცოტა ხანს აი ეკკლებსკენ აძოვებინე მშვიგრები იქნებიან და მერმე მალე მოდი... ეკკლესიაში აღარ წახვალ? შენი ტოლი ბიჭები იქნებიან...

პიმენა დაფიქრდა, სახე მოედღუშა და დაღვრემილად გაილაპარაკა მამისკენ:

— ეკკლესიაში სად უნდა გამოვჩნდე ასეთის ტანისამოსით?..

თითქოს შვილს დაეთანხმაო, გერიასაც მეტი აღარა უთქვამსრა.

შარა-გზაზე პირმხიარული მეზობლები შემოკრებილიყვნენ და ოჯახობით იწვევდნენ ეკკლესიაში წამსვლელთ „ჩვენთან წამოდითო“...

— პიმენ! პიმენ! წამო!—გასძახა პიმენს ერთმა პატარამ, რომელიც კოხტად მორთული მიტყლაპუნობდა ეკკლესიისკენ გზაზე. პატარას ამ სიტყვებს რამდენიმე მგზავრმა მიაქცია ყურადღება.

— აბა, სად წამოვა პიმენი! არ ეცლება; გუშინ ცული  
 დღე დააყენეს საბრალო გერიას...

აქ ლაპარაკი გაგრძელდა...

პიმენს არავითარი ყურადღება აღარ მიუქცევია ეკაღე-  
 სიაში წამსვლელთათვის, გზას აუხვია და ჩვეულებრივ დასძახა  
 ცხვრებს.

— რრრრრრრ! აცქ! აცქ!

მ კინწურაშვილი.



## ეპისკოპოსი ალექსანდრე.

† ამ წლის 9 ნოემბერს შიომღვიმის მონასტერში გარდაიცვალა ოთხმოცდა სამის წლის მოხუცებული მღვდელთ-მთავარი ალექსანდრე, რომელიც საქართველოში ცნობილი იყო, როგორც ქველმოძქედი და მაღალ ზნეობით შემკული ადამიანი.

ეპისკოპოსი ალექსანდრე დაიბადა 1824 წელსა გორის მაზრის ერთს სოფელში. მისი მამა დავით ოქროპირიძე სოფლის მღვდელი იყო... ერისკაცობაში ეპისკოპოსს ალექსანდრეს ერქვა ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე. ის ჯერ სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიასა და ბოლოს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომლის კურსიც დაამთავრა 1850 წელსა. ბერად აღიკვეცა ალექსი ოქროპირიძე 1845 წელს სას. სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ და სახელად დაერქვა ალექსანდრე. 1850 წლიდან იწყება მისი სამსახური მშობლიო ერის სასარგებლოდ... ის მსახურებდა მასწავლებლად, ზედამხედველად, მისსიონერ-მქადაგებლად, ეპისკოპოსად საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში... ეპისკოპოსად აკურთხეს 1862 წელსა. 1898—1903 წლებში ის მსახურებდა მღვდელთ-მთავრად გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. 1903 წელს ყოველად სამღვდლო ალექსანდრე გათავისუფლებულ იქმნა ეპარქიის მართვა-გამგეობისაგან და დაესახლა მცხეთის ახლოს, შიომღვიმის მონასტერში, რომელიც მანვე განაახლა...

ეპისკოპოსი ალექსანდრე ცნობილი იყო საქართველოში, როგორც თვისი სამშობლოს და მოძმე ერის შეგნებული და მხურვალედ მოყვარე. ის თავგამოდებით იცავდა ქართულს ენას, ქართულს გალობას, სცდილობდა ქართველი ერის გაუმჯობესებას, მისთვის გადაშენება-გადაღვარების მომაკვდინებელი უხამის თავიდან აშორებას... მართალია ბერი (მონაზონი) იყო, თითქოს მოშორებული წუთისოფელს, მეგრამ მოსწონდა ბერობა საქმიერობითი, ღვაწლით მოსილი, რომელ-

საც თვის ტომი, ტოლი და სწორი გულიდამ ამორცხილი არ ჰყავს... ასეთი შეხედულებისა იყო ებისკოპოსი ალექსანდრე ბერობაზე და ამის მეოხებით მონასტერში კი არ იყო მხოლოდ კარ-ჩაკეტილი, მარტო თავისათვის კი არ ზრუნავდა, არამედ ერის სასარგებლოდ დაუღალავად შრომობდა... მეტად საგულისხმოა მისი სიტყვები, რომელიც წარმოსთქვა სიღარიბეში გარდაცვლილის ქართველი მოღვაწის ივანე კერესელიძის დასაფლავებაზე: „დროა გავახილოთ თვალები, შევივნოთ ჩვენი მოვალეობა, ვუშველოთ ჩვენს თავს, ჩვენს ერს საქმე ვუკეთოთ, მარტო წერა, ბეჭდვა და ლაპარაკი არ კმარა. დავავალოთ შეძლებულ ქართველებს საწყალი ქართველი ხალხის პატრონობა, მფარველობა და ქომაგობა, თორემ დავიღუპებით, აღვიგვებით!“ სამშობლოს და ერის სიყვარული ჰქონდა საფუძვლად და მთავარ წყაროდ მისს მრავალ გვარს მოღვაწეობას საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში.

ყოვლად სამღვდელიო ალექსანდრე ქართველის ერის გაამძლიერებელს ძირითად საშუალებად სთვლიდა **წმინდა ეროვნულს** სწავლა-განათლებას. ის მეტად გულ-ნატკენი იყო იმის გამო, ქართველი ახალთაობა ჩვენის ქვეყნის სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის უცხო, გაუგებარს, არა-სამშობლო ენაზე წარმოების მეოხებით გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი. ქართველმა ახალთაობამ სამშობლო ენა ან არ იცოდა და ან იცოდა სუსტად, მშობლიურს ნიადაგს მოშორებული იყო, გულგრილად უტკებროდა სვე-ბედს თვისი ღვიძლი ერისას, რომლის აწმყო და წარსული არ გაეგებოდა... ხშირად იტყოდა ხოლმე განსვენებული მღვდელთ მთავარი: **„ნეტავი როდის ეღირსებათ ქართველებს ქართული სკოლა“**-ო... ბევრჯელ მას თავისი აზრი გამოუთქვამს სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიაში ქართულს ენაზე საგნების სწავლების შესახებ პირდაპირ, უშიშრად, სიტყვით და წერილობით რუსეთიდან გამოგზავნილი უფლებით მოსილი მოსული მოხელეების (რევიზორების) წინაშე, მაგრამ მისს წინადადებას იმ დროს ყურადღებას არაავინ აქცევდა. თუმც თანამგრძნობი არ იყო სწავ-



ეპისკოპოსი ალექსანდრე

ლა-ალზრდის აწინდელი წესისა, მაგრამ ეპისკოპოსი ალექსან-  
დრე დიდად აფასებდა საზოგადოდ ცოდნის შეძენას და სულ



ეპისკოპოსი ალექსანდრე ქ.

უსწავლელად დარჩენას ქართველისათვის უბედურებად სთვლი-  
და. ის უნეს დახმარებას უწევდა მრავალს ღარიბს მოწაუეს,

რომელთაც თვის სტიპენდიებს უნიშნავდა და ამის მეოხე-ბით შეძლებას აძლევდა დაემთავრებიათ სწავლ-განათლება. სტიპენდიები ჰქონდა ტფილისის სასულიერო სემინარიასა, სასწავლებელსა და საეპარქიო საქალებო სასწავლებელში. ამას გარდა ეპისკოპოსი ალექსანდრე კერძო ქველ-მოქმედებითაც ცნობილი იყო, რომლის შესახებ ლაპარაკი არ უყვარდა... ქრისტეს მცნების თანახმად, იმისმა მარცხენამ არ იცოდა, რას სჩადიოდა მისი მარჯვენა... ის ცხოვრობდა სადათ, მარტივად, — ჭამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაში მეტად ზომიერი იყო... გველაძუობა, ქვეშქვეშაობა ეჯავრებოდა... გულახდილი, პირდაპირი ლაპარაკი უყვარდა...

მან თვისი საფასით მრავალი ძველი ქართული ხელთნაწერი დაბეჭდა და მათ შორის: ქართული ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანისა, შედგენილი მეთვრამეტე საუკუნეში, ქართული სწორმეტყველება (გრამატიკა) ანტონი კათოლიკოზისა, იმავე საუკუნეში შედგენილი, შიო მღვიმის მონასტრის გუჯრები და ბევრი კიდევ სხვა...

ეპისკოპოსი ალექსანდრე სარწმუნოების მოყვარე იყო; იმისი რწმენით, სახარების სწავლა მსხნელი, გამწმენდელი და ხელმძღვანელია ადამიანისა, რომელსაც უნდა უყვარდეს თავისი სჯული, თავისი სარწმუნოება... დიდძალი ქონება შესწირა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, სარწმუნოების მოყვარემ, ძველი ქართული ტაძარ-მონასტრების განახლებას... უფრო დიდი ამაგი მიუძღვის მას შიო-მღვიმის მონასტრის განახლების საქმეში... აქ თვისი საფასით განაახლა მან ორი დიდი ტაძარი, აღაშენა ბერების საფანეები, გაიყვანა გზა, მდინარე მტკვარზე გამართა ბორანი და დააარსებინა რკინის გზის ბაქანი მატარებელთა გასაჩერებლად...

ეპისკოპოსი ალექსანდრე წვერი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის, პირუტყვთა მფარველის, საქართველოს ისტორიის და ეტნოგრაფიის საზოგადოებათა, ღარიბთა დამხმარე სხვა და სხვა ძმობათა, საპატივო წევრი ქართლ-კახეთის სამღვდლოების სიძველეთ-საცავისა და სხვა... არ არის არც ერთი ქართული დაწესებულება და საქმე, რომ მას გვერდი აეხვიოს და სიტყვით და საქმით თანაგრძნობა არ გამოეცხადებინოს.

საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი, სასიქადულო ქართველო მღვდელთ-მთავარო!

# საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან.

(დასასრული).

## VI. ქადაქის მშრომელი ხალხი.

**ქ**აშუალ საუკუნეთა დამდეგს ბატონის ციხე-დარბაზებში, მისი საკუთარი ოჯახისა და მეომარ სახლი-შვილთა გარდა, ცხოვრობდენ აგრეთვე სხვადასხვა გვარი საბატონო ხელოსნებიც. ვაჭრობა იმ დროს თითქმის სრულიადაც არ არსებობდა, და ყველაფერს, რაც ბატონს ომიანობისა და მშვიდობიანობის დროს სჭირდებოდა, მის მამულშივე ამზადებდენ საბატონო ხელოსნები. ბატონის სასახლის გვერდით, ცალკე შენობაში, განუწყვეტლივ მუშაობდენ მჭედლები, ზეინკალები, დერციკები, ხარაზები, დურგლები და ოქრომჭედლები. იქვე, საჯალაბოში, ქალბატონის ზედამხედველობით, ართავდენ, ქსოვდენ, ქარგავდენ და ჰკერავდენ გოგოები. საუკეთესო ხელოსნებს ბატონი ძლიერ უფროთხილდებოდა და ხშირათ ჩამწყვდეული ჰყავდა, რომ არსად გაქცეოდენ. ტკბილი არ იყო სასახლის ხელოსანთა ცხოვრება: იგინი ბატონის სრულ საკუთრებას შეადგენდენ, ბატონს შეეძლო მათი გაცვლა და გაყიდვა.


ამ სასახლის ხელოსანთა გარდა, ბატონის მამულში, სოფლად, ცხოვრობდენ კიდევ ნახევარ-ხელოსანი გლეხები, რომელნიც, რაკი სასოფლო-სამეურნეო შრომას მორჩებოდენ, თავისუფალ დროს სხვა და სხვა ხელოსნობას მისდევდენ და თავისი ნახელავის ერთ ნაწილს ბატონის სასახლეში ჰგზავნიდენ. თუ საჭიროება მოითხოვდა, ბატონი მათ სასახლეშიაც გაიწვევდა ხოლმე სამუშაოდ.

ამგვარათ ყოველი ბატონის სამფლობელო თავისი თავი-

სათვის მუშაობდა, იგი არაფერს არ აკეთებდა გასასყიდად და არცარას ყიდულობდა.

მაგრამ მეურნეობის ამგვარი კარჩაკეტილობა თანდათან ჰქრება. ყველგან ხალხის რიცხვი ძლიერ მატულობს და მასთან ერთად ყოველგვარი ნაწარმოების მოთხოვნილებაც იზრდება. მაგრამ, ცხადია, ყველგან თანაბრად არ შეიძლება საქირო საქონელთა საკმაო რიცხვის წარმოება. ერთს კუთხეში უფრო მეტი სახნავი მიწა მოიპოვება, და ამიტომ აქ პური უფრო მეტი მოდის; მეორეში — მეტი საქოვარი იალღია, და იქ, ამის გამო, მეჯგოვობა უფრო კარგად მიდის; მესამეში — სათევზაო ადგილები უფრო მეტია და იქ მეთევზობა უფრო ხელსაყრელია და სხვანი. სხვადასხვა კუთხეებს შორის იწყება აღებ-მიცემობა. გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს არა მარტო პურისა, ჯოგისა, თევზისა, მატყლისა და სხვა დაუმუშავებელი მასალისა, არამედ ადგილობრივი სამრეწველო ნაწარმოებისაც; ამის გამო ხელოსანთა შრომას დიდი ფასი ედება. და მებატონეს უფრო სასარგებლოდ მიაჩნია, ხელოსნებს თავისუფლება მისცეს, ვინემ შინ იყოლიოს და არჩინოს. ამგვარად განთავისუფლებული ხელოსანი ვალდებული იყო, ყოველწლივ თავისი ბატონისათვის პირველად ნაწარმოებით და შემდეგ ფულად ხარჯი ეძლია. სხვა მხრივ კი იგი თავისუფალი იყო: როგორც სურდა, ისე შეეძლო მოახმარა თავისი შრომა და ნაშრომი.

განთავისუფლებული ხელოსანი, რასაკვირველია, სოფლად აღარ რჩებოდა; იგი მოსძებნიდა ისეთს დასამხარ ადგილს, სადაც ყოველისმხრიდან სამუშაოს დასაკვეთად იყრიდა მუშტარი თავს. ასეთი ადგილი იყო ბაზარი, რომელიც ახლად დაიბადა. ბაზრები უმთავრესად ამა თუ იმ ოლქის შუაგულ ადგილას იმართებოდა, რომლისამე ციხის ან მონასტრის მახლობლად. აქ ფართოდ მოედნის გარშემო ვაჭრები და ხელოსნები აშენებდნენ თავის ქულობაქებსა და სახელოსნოებს; შემდეგში ამ შენობათა რიცხვი თანდათან მატულობდა და ბო-



ლოს მონასტრის ან ციხის გარშემო გალავან-შემორტყმული ნამდვილი ქაჯაქი იმართებოდა \*).

თუმცა ყოველი ქალაქი რომელსამე მებატონეზე იყო დამოკიდებული, მაგრამ სოფლებთან შედარებით ქალაქელები უფრო კარგათ იყვნენ მოწყობილი. ვაჭრობა და მრეწველობა ქალაქის მცხოვრებლებს სიმდიდრესა სძენდა, და ხშირათ ბატონი იძულებული იყო, როცა შორს სადმე საომრად მიემგზავრებოდა ან ტყვეობიდან თავის დასნა სჭირდებოდა, ფულის სათხოვნელად მოქალაქეებისთვის მიემართა. ამგვარი სამსახურისათვის ქალაქები თავისი ბატონისაგან სხვადასხვა გვარს შეღავათს ღებულობდენ. ამგვართ მოქალაქეებმა შეიძინეს პირადი თავისუფლება და მრავალი გადასახადებისაგანაც განთავისუფლდენ. მე-XI საუკუნიდან ზოგიერთ ქვეყნებში ბევრი ქალაქი სრულიად გათავისუფლდა ბატონებისაგან და უფლების მხრივ უკანასკნელთ გაუთანასწორდა.

მართალია სრული თავისუფლება ქალაქებმა ყველგან ვერ მოიპოვეს, მათი უმრავლესობა იმ მებატონის ხელქვეშ იმყოფებოდა, რომლის მიწაზედაც ქალაქი იყო გაშენებული, მაგრამ აქაც მოქალაქეები ფულის შემწევობით ახერხებდენ პირადი თავისუფლების მოპოებას და, განსაზღვრული გადასახადის გარდა, ბატონის წინაშე არავითარ მოვალეობას არ ეწეოდენ. ყველგან შემოიღეს წესი, რომლის ძალითაც, უკეთუ საბატონო კაცი ქალაქს თავს შეაფარებდა და მას მებატონე ერთი წლისა და ერთი დღის განმავლობაში არ მოიკითხავდა, ყმა სრულიად თავისუფალი ხდებოდა და შემდეგ ბატონს ნება აღარ ჰქონდა მისთვის ხელი ეხლო. აქედან წარმოსდგა საშუალ-საუკუნეთა ანდაზა: „ქაჯაქის ჭკერი აღამანს ათავისუფლებსო“.

საშუალ საუკუნეთა ქალაქი ძლიერ ცოტათი ჰგავდა თანამედროვე ქალაქებს. მთელი მისი ცხოვრება მტკიცეთ იყო

\*) როგორც რუსულათ „городъ“, ისე ქართულათ „ქალაქი“ (ასურული სიტყვა) ნიშნავს ზღუდეს ანუ გალავანს, რომელიც ძველათ ქალაქის აუცილებელს ნაწილს შეადგენდა.

განსაზღვრულ-მოწესრიგებული: ციხის ზარის ხმაზე იწყებოდა და თავდებოდა ყოველი სამუშაო, იღებოდა და იკეტებოდა დუქნები, ჰქრებოდა ცეცხლი სახლებში. ყველა ქალაქელი ხელოსნები, მზგავსი ხელობის მიხედვით, ჯგუფებად ანუ ამქრებად იყვნენ დაყოფილი. ქალაქში მუშაობის უფლება მხოლოდ მას ჰქონდა, ვინც რომელსამე ამქარს ეკუთვნოდა.

ყოველ ამქარს საკუთარი წესდება ჰქონდა, რომელშიაც გადაჭრით იყო ნაჩვენები, თუ ხელოსანს როგორ უნდა ეტარებია ცხოვრება, რამდენ ხანს ემუშავნა და როგორი საქონელი უნდა დაემზადებია.

ყოველ ამქარს ჰყავდა არჩეული მამასახლისები, რომელიც სასტიკათ ადევნებდნენ თვალ-ყურს სამქრო წესდების შესრულებას. არავის არ შეეძლო დღეში განსაზღვრულ დროზე მეტი ემუშავნა. მტკიცეთ განსაზღვრული იყო, აგრეთვე, თანაშემწეთა რიცხვი, რომელიც შეეძლო ჰყოლოდა თვითეულ ოსტატსა. აკრძალული იყო განსაკუთრებული იარაღების ხმარება, რომელთაც სხვა ოსტატები არ იცნობდნენ.

ყველა ეს წესები იმისათვის იყო შემოღებული, რომ ამქრის წევრთა შორის თანასწორობა არ დარღვეულიყო და სამუშაო მუდამ ყველას საკმაო ჰქონოდა.

ამქარი იცავდა თავისი წევრების ინტერესებს და სასტიკათ თვალყურს ადევნებდა, რომ მისი ხელობა მისი წევრების მეტს არავის გამოეწყო. ამისგამო ამქართა შორის მტკიცეთ განაწილებულ იქნა სამუშაო. მაგალითად, მჭედელს არ შეეძლო გასაღები გაეკეთებია, — ეს ზეინკალის საქმეს შეადგენდა. დერცკის არ შეეძლო ძველი ტანისამოსი დაეკერა, რადგან ამ საქმეს ცალკე ხელოსნები ჰყავდა. აგრეთვე მეწადეს ნება არ ჰქონდა ძველი წალა დაეკერებია, — რომ ამით „მეჯღანებისათვის“ არ წაერთმია სამუშაო.

ამქრის წევრები მტკიცეთ იყვნენ შეკავშირებულნი და საკმაოთ ძლიერს ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. როგორც ლხინში, ისე გასაქირში იგინი მუდამ ერთად იყვნენ და საერთოთ იყოფდნენ ლხენასა და მწუხარებას. ყოველ ამქარს თა-



სახოგადოებისა და სასკლამწიფოს ისტორიიდან

ვისი ეკლესია და საკუთარი წმინდანი ჰყავდა არჩეული თავის მფარველ-პატრონად. თუ ამქრის რომელიმე წევრი გარდიცვლებოდა, ყველა წევრები იყრიდნ თავსა, მიცვალებულის კუბოს საამქრო დროშით საფლავამდე აცილებდნ და შემდეგ შიაც ზრუნავდნ, რომ მისი სულის მოსახსენებლად ყოველივე საეკლესიო წესი მტკიცეთ შესრულებულიყო.

ომიანობის დროს ყოველი ამქარი ცალკე რაზმს შეადგენდა; ქალაქის ხელოსანთა მამაცობას ომის დროს განცვიფრებაში მოჰყავდა საშუალ-საუკუნეთა რაინდები. იგინი ეხლა აღარაფრათ აღარ ჰგვანდნ მფრთხალსა და დამონებულს თავის წინაპრებს. ხელოსნებს ახლა თავი ამყათ ეჭირათ; მათ შესძლეს თავისი შრომისათვის შესაფერი პატივი მოეპოვებიათ. „როგორც ფრინველი ფრენისათვის, ისე ადამიანი შრომისათვის გაჩენილია“, — ამბობდნ ამ დროინდელი მწერლები: „და ხელოსანი, რომელიც თავის სამუშაოს ადგია, იმნაირათვე ღირსია პატივისა, როგორც უწარჩინებულესი პირები და სამღვდელონი“.

მაგრამ, როგორც პირვანდელი საგვარეულო თემი, ისე ამქრული წყობილებაც მხოლოდ მანამდე იყო თანაბრათ სასარგებლო ყველა ხელოსანთათვის, სანამ სამეურნეო ცხოვრება თვალსაჩინო განვითარებას მიაღწევდა. ამას შემდეგ კი სულ სხვა წესები დამყარდა, და ამქრის უძლიერესმა წევრებმა მისი ძალა-უფლება თავის გასამდიდრებლად და სუსტი წევრების დასაჩაგრავად გამოიყენეს.

უკვე ძველითგანვე ოსტატი მარტო არ მუშაობდა თავის სახელოსნოში: იგი თანაშემწედ აიყვანდა ხოლმე მოზრდილი ბიჭს ანუ შევირდს, რომელსაც აძლევდა მთელი ნამუშევრის ნახევარს ან მესამედს. ასე რომ ორი-სამი წლის შემდეგ შევირდს შეეძლო დამოუკიდებელი ოსტატი გამხდარიყო. ეს მით უფრო ადვილშესაძლო იყო, რომ პირველ ხანათ სამუშაო იარაღებიც მეტათ უბრალო და იაფათ იშოვებოდა. მართალია, შევირდს ხშირათ ბევრი დამცირებისა და ტანჯვის ატანა მოუხდებოდა ხოლმე ოსტატთან, მაგრამ მას ნუგეშს

აძლევდა ის იმედი, რომ ადრე თუ გვიან იგი თვითონაც დამოუკიდებელი ოსტატი გახდებოდა. იმ დროს ოსტატის თანაშემწეობიდან თვით ოსტატობაზე გადასვლა არ იყო ძნელი საქმე: ამას არც ამქრის წესდება უშლიდა ხელსა.

მაგრამ, რამდენათაც საქალაქო მრეწველობა განვითარდა, ეს წესებიც თანდათან შეიცვალა. რაც უფრო დრო გადიოდა, იმდენათ სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლები თანდათან ეჩვეოდნენ ყიდვით ისეთი საგნების შეძენას, რასაც წინეთ შინვე ამზადებდნენ. ამის გამო ხელოსანთა ნაშრომს დიდი ფასი დაედო; თავისუფალმა ოსტატებმა პირდაპირ გასასყიდი საქონლის დამზადება დაიწყეს საკუთარი მასალისაგან: წინათ იგინი მხოლოდ თავის შრომასა ჰყიდდნენ, რადგან მაშინ მასალა თვითონ მუშტარს მოჰქონდა; ეხლა კი ოსტატმა საკუთარი მასალისაგან იწყო საქონლის მზადება და იქვე სახელოსნოს წინ გამოფენა. ამგვარი წარმოებით იგინი ძლიერ მალე მდიდრდებოდნენ, და მით უფრო მეტათ სცდილობდნენ ამ საქმეში მოქიშვე არავინ ჰყოლებოდათ. ამიტომ იწყეს ახალი წესების გამოცემა, რომლის ძალითაც ოსტატის თანაშემწესა და შევირდს აღეკრძალათ თავისუფლად მიეღოთ ოსტატის ღირსება. არამც თუ ოსტატად გახდომა, უბრალო ხელოსნობაც კი ბევრისათვის ხელმიუწვდენელი შეიქნა: ხელოსნობა თითქოს წოდებრივ უფლებად იქცა.

მე-14 და მე-15 საუკუნეში ამქარი უღირსად სთვლიდა თავის წრეში მიეღო საბატონო ყმებრსა და უბრალო გლეხის შვილები, მაგალითად: მწყემსები, მეწისქვილეები და შინაყმები. ამის გამო მე-16 საუკუნიდან უმუშევართა რიცხვმა დიდ ქალაქებში საოცრად იმატა.

მაგრამ ვინც ამქარში იმყოფებოდა, არც მათი მდგომარეობა იყო სანატრელი. მაგალითად ოსტატებმა დაადგინეს, რომ სანამ შევირდი ოსტატის თანაშემწეობას მიიღებდა, სულ მცირე 10 წელს მაინც უსასყიდლოთ უნდა ემუშავნა სახელოსნოში. აგრეთვე თუ ოსტატის თანაშემწეს სურდა ოსტატობა მიეღო, ჯერ უნდა „სანიმუშო სამუშაო“ შეესრულებია



საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან

და ნამუშევარი მსაჯულებისათვის წარედგინა, რომელნიც, რასაკვირველია, ოსტატებისაგან ირჩეოდნენ; ამას გარდა ახალს ოსტატს ზოგიერთი ამქარი სთხოვდა „შესვლის ფულებსა“ და მთელი ამქრისათვის ნადიმის გამართვას. ბოლოს ოსტატის თანაშემწეს ვალად დაუდგინეს, რომ „ხელობის უკეთ შესასწავლად“ რამოდენისამე წლით უცხო ქვეყნებში გამგზავრებულიყო.

ამ პირობებმა მეტათ გააძნელა ოსტატობის მიღება. ახლა ოსტატებმა იწყეს თავისი ღირსებისა და სახელოსნოების, ისე როგორც საწარმოვო იარაღების, მემკვიდრეობით გადაცემა თავის შვილებზე. ხელოსანთა წრე ორ დასად გაიგლიჯა: ოსტატ-პატრონები განცალკევდნენ მუშა-ქარგლებისაგან. წინანდელი თანხმობის ადგილი მათ შორის უთანხმოებამ დაიქირა.

ოდესღაც ოსტატი მხოლოდ უფროს მუშად ითვლებოდა და თავის ქარგლებთან ერთად მუშაობდა. მე-15 საუკუნეში კი ზოგიერთმა ამქრებმა ოსტატებს აღუკრძალეს მუშაობა: მათი მოვალეობა უბრალო ზედამხედველობად იქცა. ოდესღაც ოსტატი პატიოსნურათ უყოფდა ხელფასს თავის შვირდებსა და თანაშემწეს. ეხლა კი იგი სცდილობს რაც შეიძლება მეტი წაგლიჯოს ქარგლებს ხელფასიდან. ამ ხელფასის ზომას ეხლა ამქრის მამასახლისები, ე. ი. იგივე ოსტატები ნიშნავენ და, რა თქმა უნდა, იგინი თავს არ მოიტყუებენ. ხელფასის ზომა წინდაწინ 20—30 წლის ვადით ინიშნება, ზოგჯერ კი „სამუდამოდაც“. ქარგალს უფლება არა ჰქონდა ოსტატს ქირაზე შევაჭრებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამქარში მუშაობის უფლებას ჰკარგავდა. ცხოვრება კი იმ დროს უფრო სწრაფად ძვირდებოდა, ვინემ ჩვენს დროში; და ამგვარათ ხელფასის წინდაწინ გადაწყვეტა განსაკუთრებით მუშა ხალხისათვის იყო დამღუპავი. „ოსტატების კეთილდღეობაო“, — ამბობს ერთი გერმანელი ისტორიკოსი, — „უმთავრესათ ქარგალთა ხელფასის დაკლებასზე აღმოცენდაო“...

წინათ ოსტატი და ქარგლები ერთსა და იმავე სუფრასზე

სხდებოდენ პურის საქმელად. ეხლა კი (მე-15 საუკუნიდან) ოსტატი სცდილობს ქარგალს ნაკლები საქმელი მიაწოდოს, რომ ამითაც მეტი სარგებლობა ნახოს, და ამიტომ პურის საქმელად ქარგლებთან ერთად აღარ ჯდება. ოსტატს თითქმის სასირცხოდაც კი მიაჩნია თავის მუშებთან ერთად პურის ქამა.

ასე ძლიერ დაშორდენ ერთმანეთს ოსტატი და მისი მუშა-ხელოსნები. მათ შორის იმართება ბრძოლა. მუშა-ხელოსნები ერთდებიან და გაფიცვებს ახდენენ. ოსტატები სცდილობენ, მათს შეერთებას ხელი შეუშალონ და ამ მიზნით არაერთარი სასჯელის წინაშე არ ჩერდებიან. მაგალითად დანციგში მე-14 საუკუნის დამლევს გაფიცულ მუშა-ხელოსნებს ყურები დააჭრეს; ხოლო ლიონში—ზოგი სამშობლოდან განდევნეს და ზოგსაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. მაგრამ მუშა ხელოსნები არა დრკებიან. ისინი უფრო მჭიდროდ უახლოვდებიან ერთმანეთს, იარსებენ კასებს, სასადილოებსა და ადგენენ ძლიერ კავშირებს. ხშირად ბრძოლიდან იგინი გამარჯვებულნი გამოდიან, ახერხებენ ხელფასის მომატებასა და თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას...

გადის დრო. წარმოება თანდათან ფართოვდება. მდიდარი მწარმოებლები სცდილობენ, რაც შეიძლება, იაფი გახადონ თავისი საქონელი, რომ ამ უკანასკნელს ბაზარზე უფრო მეტი გასავალი ექნეს და სხვების საქონელს ქიშპობა გაუწიოს. ამ მიზნით მწარმოებელი აარსებს ღიდრონ ქარხნებს, სადაც თავს უყრის მრავალ მუშა-ხელს და მათ შორის ანაწილებს სამუშაოს. შრომის განაწილება ძლიერ აადვილებს და აუმჯობესებს საქონლის დამზადებას, რაც მწარმოებელს უფრო მეტს სარგებლობასა სძენს. ამგვარ წარმოებას თანამედროვეება „მანუფაქტურა“ უწოდეს. ავილოთ მაგალითად ქინძისთავების მომზადება მე-XVIII საუკუნეში.

„ქინძისთავის დამზადებაო,—ამბობს მე-18 საუკუნის ერთი ინგლისელი მეცნიერი,—18 სხვადასხვა სამუშაოდ არის დაყოფილი: ერთი მუშა მართულს ამზადებს სპილენძისაგან, მეორე ასწორებს, მესამე ასუფთავებს, მეოთხე ნაწილებად



სკრის, მეხუთე თავის დასაგებ წვერს უმზადებს, მეექვსე, მეშვიდე და მერვე მუშა—თავს უკეთებენ, სხვები კი ამ თავს თეთრათ ღებავენ და, დასასრულ, ქალაქში ამაგრებენო. მე ვნახე ერთი მომცრო მანუფაქტურა, რომელშიაც 10 მუშა დღეში 48,000 ქინძისთავს აკეთებდა დღეში, ე. ი. თვითეული მუშა—4,800 ქინძისთავსაო. ყოველ მუშას რომ სხვების დაუხმარებლად ემუშავნა, ცხადია, დღეში 20 ქინძისთავზე მეტს ვერ დაამზადებდაო“.

სადაც მუშის შრომა ასე მარტივი შეიქნა,—იქ ძნელი აღარ იყო აღმომიანის ხელის ნაცვლათ რაიმე მექანიკური იარაღი შემოეღოთ. ამგვარათ მანუფაქტურამ რთული სამუშაო მარტივ ნაწილებად დაჰყო და ამით ნიადაგი მოუშავდა ყოველგვარი მაშინის გამოგონებას. მე-18 საუკუნეში წარმოება ყველაზე უმაღლესათ ინგლისში იყო განვითარებული. და აი სწორეთ აქ იჩინა თავი მრავალმა გამოგონებამ: 1770 წელს ხერგვისმა გამოიგონა „ჯენის სართავი“ მანქანა, რომელიც 9 წლის შემდეგ გააუმჯობესა სამუელ კრომპტონმა; ამის სართავ მაშინაზე 120 თითისტარი მუშაობდა ერთი მუშის ზედამხედველობით... შემდეგ ამგვარსავე მაშინას წყლით საბრუნებელი ბორბლები მოუწყვეს; ხოლო მცირე ხანში თვითმოქმედი საქსოვი მაშინაც გამოიგონეს. დასასრულ, ჯემს უატმა გამოიგონა ორთქლის მაშინა და მით საბოლოოვით ძირი გაუთხარა ეგრეთ წოდებულს „მანუფაქტურას“. ამიერიდან ევროპის წარმოებაში გაბატონდა ორთქლი და სამაშინო მრეწველობა. კაცობრიობის ცხოვრებაში დადგა ახალი ერა, ერა მაშინისა და ორთქლისა. გაიმართა უზარმაზარი ქარხნები, სადაც ათასობით და ათი ათასობით მოიყარა თავი დაქირავებულმა მუშამ. ერთგვარ წარმოებაში მომუშავე, მუდამ ერთათ მყოფი მუშები აზრებითაც მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეიგნეს საერთო ინტერესები და ერთათ იწყეს ბრძოლა თავისი საერთო მტრების წინააღმდეგ. დღეს მუშათა პარტია ყველა განათლებულ ქვეყნებში ერთი უძლიერეს პოლიტიკურ პარტიათაგანია, მისი რიცხვი ყოველ დღე მატულობს, მისი

თანამგრძნობელნიც თანდათან მრავლდებიან; და მოწინავე ქვეყნებში შორს აღარ არის ის დრო, როდესაც საბოლოოვით დაიხსნება მშრომელი ხალხის შემბოქველი ბორკილები და, დღევანდელი მტრობისა, მგლეჯელობისა და მონობის ნაცვლად, კაცთა შორის დამყარდება სანატრელი „ძმობა, თანასწორობა და თავისუფლება“, ან, როგორც ამბობს ჩვენი დიდებული მგოსანი:


„შრომის სუფევა მოვა მაშინა  
 ქეშმარიტების მის ძლიერებით  
 და განმტკიცდება სოფელსა შინა  
 კაცთ-მოყვარების სახიერებით...“

„და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,  
 შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
 და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
 ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების...“

„მაშინ უქმ სიტყვად არ იქმნებიან  
 ძმობა, ერთობა, თავისუფლება,  
 ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან  
 კაცთ-მოყვარება და სათნოება...“

„მაშინ, მუშაკო, შენც განკაცდები,  
 წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,  
 სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,  
 არც ვის ემონვი და არც იმონებ!“

ს. გორგაძე.



# უზინარა.

(ინდოური პოემიდან „მაჰაფარატა“.)



ამუნის პირსა მეფე უზინარა ღმერთებს მსხვერპლსა სწირავდა.

მოფრინდა მკრთალი ტრედი, ქორის დევნული, მეფეს გულში ჩაუფარდა და შველას შეეხვეწა.

**ქორი.** მეფეო, მეფეთა შორის შენ ხარ ნაქები ვით მოვალეობის ერთგული. მაშ რად მოხდა, რომ მოვალეობას გადახვედი? რად მაკლებ საზრდოს, ბუნებისაგან ჩემთვის გაჩენილს? შიმშილი მკლავს, შენ კი საკვებს მართმევ.

**მეფე.** შენგან ლტოლვილი, შეშინებული, მკრთომარე, მოფრინდა ჩემთან ეს ტრედი და მთხოვს სიკვდილს გადავარჩინო. ნუთუ არ გესმის, ქორო, რომ პირველი ჩემი მოვალეობაა არ გავცე ტრედი, რომელიც მე მენდო და შემომეფარა? რადგან ვინც მოჰკლავს ძროხას, სინათლის მშობელს, ან ბრამანს, ან ვინც გასწირავს მკრთალსა, შესაფარველის მთხოვენლსა, — ყველანი ერთ გვარს ცოდვას სჩადიან.

**ქორი.** საკვები არჩენს ყველას. საკვებით სცოცხლობს და იზრდება ცხოველი. რაც უნდა ძნელი იყოს რაიმე ნივთის უქონლობა, მაინც გასძლებ უმისოდ, მაგრამ თუ საკვები მოგაკლდა, დიდხანს ვეღარ იცოცხლებ. ხელმწიფეო ქვეყნისაგ, რადგან ჩემი საკვები წამართვი, მალე სულს გავეყრები. და მე რომ მოვკვდები, ჩემი ცოლ-შვილიც დაიხოცება. ერთის ტრედის გულისათვის გინდა ამდენი სული გასწირო? თუ ერთი მოვალეობა სხვებს ეწინააღმდეგება, ნამდვილი მოვალეობა არა ყოფილა. როცა მოვალეობას სხვა მოვალეობანი ვერა სძლევენ, მაშინ არის ის მოვალეობა ქეშმარიტი. მაგრამ თუ მოვალეობანი ერთმანერთს ებრძვიან, კაცი იმას უნდა მიჰყვეს, რომელიც უდიდესია. მაშ განსაჯე, მეფეო, რომელია აქ უდიდესი მოვალეობა.

**მეფე.** საუცხოოდ და ჭკვიანად სჯი. იქნება შენ მოვალეობანი გისწავლია. იქნება სუფარნა ხარ, ყოვლის-მცოდნე მფრინველთა ხელმწიფე. მაშ ნუთუ გგონია შესაფარველის მთხოვნელის გაცემა შეიძლებოდეს? შენს საკვებად, ჰოი მფრინველთა შორის ყველაზედ ბრძენო, რაც მოგეწონოს ჩემს სულადში აირჩიე. წაიღე ხარი, წაიღე ტახტი, ირემი, წაიღე თუ გინდა კამბეჩი. თუ სხვა რამე გნებავს, სთქვი, ახლავ მოგართმევ.

**ქორი.** ჩემი საკვები არც ხარია, არც ტახტი და არც ირემი. რაც შემოქმედს ჩემს საკვებად გაუჩენია, ტრედი მომეც, მეფეო. რადგან დასაბამიდან განაჩენია ქორისაგან ტრედის ჭკმა.

**მეფე.** მთელს ჩემს სამეფოს მოგცემ, მაგრამ ამ ტრედს ჩემის შველის მთხოვნელს ვერ გავიმეტებ.

**ქორი.** თუ ტრედი ეგრე გიყვარს, მეფეო, მომეც მაგის ოდენა შენი ხორცი.

**მეფე.** კეთილად და სამართლიანად მიმაჩნია, ქორო, შენი თხოვნა და ახლავ ავიწონ ჩემს ხორცს.

მეფემ მოიჭრა ხორცი და დაუღო სასწორის თვალს, მაგრამ მისმა ხორცმა ტრედს ვერ დასძლია. უზინარამ კიდევ მოიჭრა ხორცი, მაგრამ ტრედის წონას მაინც ვერ გაუსწორა. მაშინ მოკრილ ხორცთან მეფე თითონ შედგა სასწორის თვალზედ.

**ქორი.** მე ვარ ინდრა ზეცის ხელმწიფე, ტრედი კი ცეცხლის ღმერთია. შენის სათნოების გამოსაცდელად მოვედით შენთან, მეფეო. შენ რომ ტრედის გულისათვის ხორცი მოიჭერი, ვგ სამარადისოდ მოგიხვეჭს სახელს, და სანამ სააქაოს შენი ხსენება არ გაწყდება, საიქიოს ნეტარება არ მოგაკლდება.

ასე სთქვა ინდრამ და ზეცას ავიდა.

ესრედ მოიპოვა სასუფეველი თავის სათნოებით უზინარამ მეფემ და სულ-განბრწყინვებული შევიდა ღმერთთა სავანესა.

# მსოფლიო ისტორია.

ერნესტ ლავისისა.

წიგნი III

ახალი დროება.

თავი IX

ინგლისის საბრძანებლის შედგენა.

139. ევროპელების კოლონიები. — 1. ევროპის ხალხთა შორის პირველად ესპანელებმა და პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს ახალი ქვეყნები. 2. ამათ დაიჭირეს ამერიკასა, აფრიკასა, აზიასა და ოკეანიაში სუუკეთესო ქვეყნები, რომელიც კი მოეწონათ. 3. მაგრამ რადგან ცუდად უვლიდნენ თავიანთ კოლონიებს, ამიტომაც დაასუსტეს და გააღარიბეს.

4. იტალიელებსა და გერმანელებს ახა ჰქონდათ კოლონიები, რადგან ესენი არ შეადგენდნენ ერთს სახელმწიფოს და არც იმდენად ძლიერი მთავრობა ჰყვანდათ, რომ შეეძლოთ სადმე შორს დასახლებულიყვნენ.

5. ფრანგებმა, ინგლისელებმა და ჰოლანდელებმა კი მე-XVII საუკუნეში დაიარსეს დიდრონი კოლონიები. 6. ჰოლანდელები დაემკვიდრნენ დიდს კუნძულებზე იავასა და სუმატრასზე. 7. ფრანგებმა დაიჭირეს ამერიკის ჩრდილოეთი მხარე (აკადია და კანადა), მისისიპის მხარე (ლოუიზიანა) და ანტილის არქიპელაგში დიდი კუნძული ჰაიტი. 8. ინგლისელებმა დაიჭირეს მთელი აღმოსავლეთი ნახირი ჩრდილოეთ ამერიკისა.

140. ინდოეთის დაპყრობა ინგლისელებისაგან. — 9. მე-XVIII საუკუნეში ინგლისელებსა და ფრანგებს შუა ასტყდა ომი კოლონიებისათვის. 10. იმ დროს ინდოეთში ორი სუვაჭრე კომპანია იყო: ერთი ინგლისელებისა ქალაქს მადრასში, მეორე ფრანგებისა პონდიშერიში. 11. ფრანგების კომპანიას დირექ-

ტორმა დაიწყო ინდოეთის დაპყრობა. 12. ეს ძნელი საქმეც არ იყო, რადგან ინდოეთი მრავალს მთავრებს შუა იყო დაყოფილი, რომელთაც გლახა ჯარი ჰყვანდათ, მათნი ყმები კი მტერს წინააღმდეგობას როდი უწევდნენ. 13. ინდოეთის დაპყრობა საფრანგეთისათვის დადამც კარგი მოკება იქნებოდა, იმიტომ რომ ამ ვეება ქვეყანას ახლა 200 მილიონზედ მეტი მცხოვრები ჰყავს და მრავალი ბამბა, ბრინჯი, პილპილი და აბრეშუმი მოჰყავს.

14. ინგლისელებმა მოსთხოვეს ფრანგებს თავიანთი დირექტორი დაეთხოვნათ და საფრანგეთის მთავრობამაც დაუთმო (1754 წ.). 15. მაშინ ინგლისელებმა თითონ მიჰყვეს ხელი ინდოეთის დაპყრობას. 16. ერთს ბრძოლაში მოიგეს ვრცელი მხარე ბენგალი. 17. მერე მოშალეს ფრანგების კოლონიები (1763 წ.) და გაბატონდნენ ინდოეთში. და ახლაც ბატონობენ.

1. რომელმა ხალხებმა აღმოაჩინეს პირველად ევროპის გარეთ ქვეყნები?—2. რომელი ქვეყნები დაიჭირეს?—3. რა მოუვიდა იმათ კოლონიებს?—4. რატომ იტალიელებსა და გერმანელებს არა ჰქონდათ კოლონიები?—5. ვინ დაიარსა კოლონიები მე-XVII საუკუნეში?—6. ჩამოთვალეთ ჰოლანდიელების კოლონიები?—7. ფრანგებისა?—8. ინგლისელებისა?—9. რა მოხდა ინგლისელებსა და ფრანგებს შორის მე-XVIII საუკუნეში?—10. რა იყო მაშინ ინდოეთში?—11. რას შერებოდა ფრანგების კომპანიის დირექტორი?—12. რად იყო ადვილი ინდოეთის დაპყრობა?—13. რად იქნებოდა ინდოეთის დაპყრობა საფრანგეთისათვის სასარგებლო?—14. როგორ მოიქცა საფრანგეთის მთავრობა?—15. რა ჰქნეს მაშინ ინგლისელებმა?—16. როგორ მოიგეს ბენგალი?—17. რა უყვეს ინდოეთს?

141. ჩრდილოეთ ამერიკის დაპყრობა ინგლისელებისათვის.—

1. იგივე ამბავი ამერიკაშიც მოხდა. 1754 წ. რომ ინგლისსა და საფრანგეთს შუა ომი დაიწყო, ინგლისელი კოლონისტები მიუბნდნენ ფრანგ კოლონისტებს კანადაში. 2. ფრანგი კოლონისტები გმირუფად იბრძოდნენ და ზირუფად იმარჯვებდნენ კიდევ. 3. მაგრამ ინგლისის მთავრობამ თავის კოლონისტებს ჯარი მიაშველა. 4. საფრანგეთის მთავრობას კი თავის კო-

ლონისტების საშველად არავინ გაუგზავნია. 5. კანადელებს 40,000 ინგლისელის საპირისპიროდ მხოლოდ 5000 მეომარი ჰყვანდათ და სურსათიც აკლდათ. ინგლისელებმა დაიპყრეს კანადა, და 1763 წ. საფრანგეთმა დაუთმო ინგლისს რაც რამე მიწები დარჩენოდა კიდე ჩრდილოეთ ამერიკაში.

6. ამ ომებში ფრანგი კოლონისტები და მენავეები მამაცურად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. 7. მაგრამ საფრანგეთში მეფობდა მაშინ უთაური ლუდოვიკო XV. ამას გარდა თითქმის არავის ესმოდა იმ დროს კოლონიების საჭიროება სახელმწიფოსათვის. 8. ბევრს ფულსა და ჯარს ანდომებდნენ გერმანიის და იტალიის ომებს, საცა საფრანგეთი არას იგებდა, და ხუთიოდე ათასს სალდათს კი არ იმეტებდნენ კოლონიებში გასაგზავნად, რომ საფრანგეთისათვის ქვეყნის ბატონობა დაემკვიდრებინათ.

1. რა ქნეს ინგლისელმა კოლონისტებმა ამერიკაში?—2. რა წინააღმდეგობა გაუწიეს ფრანგმა კოლონისტებმა?—3. როგორ მოიქცა ინგლისის მთავრობა?—4. როგორ მოიქცა საფრანგეთის მთავრობა?—5. რა მოხდა 1763 წ.?—6. ვინ შეასრულა მაშინ თავისი მოვალეობა?—7. ესმოდათ იმ დროს კოლონიების საჭიროება?—8. რას ანდომებდნენ ფულსა და ჯარს?

**შინაარსი (ზეპირად სთქმეფი).**

I. ესპანელების და პორტუგალელების კოლონიები დაეცნენ ცუდის მართვისაგან. ფრანგებმა, ინგლისელებმა და ჰოლანდელებმა დაიარსეს მე XVII საუკუნეში დიდრონი კოლონიები, მეტადრე ჩრდილოეთ ამერიკასა და ინდოეთში.

II. ფრანგების კომპანიის ღირექტორმა სცადა დაეპყრა ინდოეთი საფრანგეთისათვის. მთავრობამ დაითხოვა ეს ღირექტორი (1754 წ.). მაშინ ინგლისელებმა დაიჩემეს ინდოეთი, და დაიწყეს ბენგალის დაპყრობით (1757 წ.).

III. ამერიკაში, კანადის ფრანგი კოლონისტები, საფრანგეთის მთავრობისაგან უმწკად მიტოვებულნი, ინგლისელებმა დაიმორჩილეს. 1763 წ. საფრანგეთმა დაუთმო ინგლისს თითქმის ყველა თავისი კოლონიები.

IV. საფრანგეთმა, მთავრობის დაუდევრობით, ხელიდან გაუშვა ქვეყნის ბატონობა; ეს ბატონობა ინგლისელებმა ხელთ იგდეს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1906—7 წ. ჟურნალ „ჭკვიდისა“

შატარების განყოფილება,

ლექსები.

	№ ბგერდო	
უღონო და გაკნაჭული ფერადი სურათით . . . . .	I	4
* * * გადმოკეთებული შ. მღვიმელისა . . . . .	—	37
✓ დედა და ვანიკო ი. ვედოშვილისა . . . . .	II	4
ნუ აჯავრებთ ბატებს (სურათით) შ. მღვიმელისა . . . . .	III	3
მეთევზენი (ოთხი სურათით) შ. მღვიმელისა . . . . .	IV	8
პაწია მემუსიკენი (სურათით) შ. მღვიმელისა . . . . .	V	7
ფუტკარი და თამრო (სურათით) შ. მღვიმელისა . . . . .	VI	5
იაპონური ზღაპარი ლექსათ, თარგმანი ქოჩასი . . . . .	VII	20
მოსარეცხე. შ. მღვიმელისა . . . . .	VII	3
ჩემი ფისო (სურათით) შ. მღვიმელისა . . . . .	IX	17 *
✓ პატარა მკითხველს (ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ) ქოჩოსი . . . . .	X	3
შობის ხე და ჩიტო. თარგმ. ქოჩოსი . . . . .	XII	3

მოთხრობები

(ორიგინალური და ნათარგმნი).

კატის და იაღონის მეგობრობა . . . . .	I	5
მოულოდნელი მეკვლე, პელაგიაშვილისა . . . . .	—	8
მზის მძებნელი, ფრანგულიდან, ტასოსი . . . . .	—	16
მომგებიანი საქმე. თ. რაზიკაშვილისა . . . . .	—	21
ჭკვიანი ვირთაგვები . . . . .	II	6
ვეფხი . . . . .	—	7
უღროვო დარიგება, ტასოსი . . . . .	—	8
ყვითელი ბებია (სამეგრელოს ცხოვრებიდან) მ. კინწურაშვილისა . . . . .	—	11
ხატაური ჩემია! ეკ. გაბაშვილისა . . . . .	—	21
სპილოს გამჭრიახობა . . . . .	III	5
შშობლის სიყვარული . . . . .	—	6
კატის დღიური. თარგმანი ეკ. მესხისა . . . . .	—	7
	IV	16
პატარა ამბები. წყალი . . . . .	—	3

შაშვები . . . . .	—	5
შაქრომ გაგვცა, ამბავი. ან. წერეთლისა . . . . .	—	11
გონიერი ყვავი . . . . .	V	3
პატარა ამბები. ზღარბი . . . . .	—	4
კრაზანები. ამბავი ეკ. გაბაშვილისა . . . . .	—	16
სპილო ამხელს ქურდს . . . . .	VI	3
პატარა მწერსაც მოხერხება ჰქონია. (თარგმანი) ტასოსი . . . . .	—	4
„ნუ გჳვლეტამთ ბავშვებო, შეგვიბრალეთ“, ესკიზი, თეოდ. ხუსკივაძისა . . . . .	—	9
მოწყალე ბელურები . . . . .	VII	5
ლუას თავდადასავალი, კოტე გრძელისა . . . . .	—	6
ოთხი ჭრიჭინა. ფრანგულით. ელ. წერეთლისა . . . . .	—	13
ტკვიანი გულ-წითელა (რუსულით) . . . . .	VIII	3 x
სიფრთხილეს თავი არა სტკივა (რუსულით) სურათით ანიკოსი ბროლია. გადმოკეთებული ტასოსი . . . . .	—	4
ქალბატონი ტეოფილე. მოთხრ. ტეოფილე გოტიესი ფრანგულით ელ. წერეთლისა . . . . .	—	14
ჯირკი და ნახშირი. ფრანგულით ელ. წერეთლისა . . . . .	IX	5
ეგ პაწია გულიც იტანჯება. სურათით თარგმ. ანიკოსი . . . . .	—	6
რასაც დასთეს, იმას მომკი. თარგმ. ტასოსი . . . . .	—	8
შერიგდნენ. თ. რაზიკაშვილისა . . . . .	—	9
თაგვების საკუჭნავეო, თარგმანი . . . . .	X	3 x
თაფლოს ჰეკი. თარგმანი ყურავესკიდან ტასოსი . . . . .	—	9
✓ მეზვრე. ამბავი ი. ევდოშვილისა . . . . .	—	11
იშვიათი მეგობრობა. (რუსულიდან) ყურავესკიდან ანიკოსი . . . . .	XI	7
✓ შემოვიკალ! მოგონება. ი. ევდოშვილისა . . . . .	—	9
ჭაბუკი გმირი, ფრანგულით ტასოსი . . . . .	—	14
ქეთუნა და ჩიტი, ეკ. გაბაშვილისა . . . . .	—	22
ახალწელიწადი სასოფლო სკოლაში. ეკ. გაბაშვილისა . . . . .	XII	9
სიმშვენიერე ყოველგან არის. რუსულით თეოდ. კანდელაკისა . . . . .	—	18
პატარა მკურნალი ანასტ. ერისთავი-ხოშტარიასი . . . . .	—	22

**ბუნების მეტყველებიდან.**

რუხ კისერა—მამინ-სიბირიაცისა. თარგმ. ვ. მიქაბერიძისა . . . . .	I	28
(სურათებით) . . . . .	II	31
საბრალო ღამურები (ბაგდანაცისა) თარგმ. ან. წერეთლისა . . . . .	III	21
რა ჳქნა, ვერ მივხვდი ფრანგ. (გეოგრაფ. ცნობები) ტასოსი . . . . .	IV	9
როგორ ზრდიან ფრინველები თავის ბარტყებს (სურათი) ალ. ფ—ისა . . . . .	—	21



ორი ბზრიალა. ფრანგ. (გეოგრაფიული ცნობები) შურასი .	VI	7
როგორ ზრდიან პირუტყვები თავიანთ შვილებს. სურათით		
ალ. ფ—ასი . . . . .	—	20
შემწვარი ვაშლი ფრანგ. (კეოგრაფიული ცნობები) შურასი	VII	10
როგორ სწავლობენ ცურვას წყლის ფრინველები სურათებით		
ალ. ფ—ასი . . . . .	—	27
რა მშვენიერებაა! ფრანგულით (გეოგრაფიული ცნობები)		
შურასი . . . . .	VIII	9 *
როგორ ზრდიან პირუტყვები შვილებს სურათებით. ალ.		
ფ—ასი . . . . .	—	21
	IX	26
	X	28 *
	XI	26
მარილის კვნიტი ფრანგულით შურასი . . . . .	X	7
წმინდა სამთლის სამეფოში ალტაევისა, თარგმ. ანასტ. ამი-		
ლახერისა . . . . .	XI	17

**ბიოგრაფია.**

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. ეკ. გაბაშვილისა . . . . .	IX	2
--	----	---

**იგავები, ზღაპრები ჩვენი და უცხოეთისა.**

ყვავი და კაკაკატი. იგავი ალ. მირიანაშვილისა . . . . .	I	6
მთვარის მოგზაურობა ანდერსენისა (გერმანულით) ა. ყუმის-		
თაველისა . . . . .	—	19
მზისაგან დაწუნებული ხემწიფის შვილი ხალხური ზღაპარი	II	26
ჩაწერილი ან-მანისაგან . . . . .	III	15
მთვარის მოგზაურობა. სურათი ანდერსენისა, მეექვსე. გერმა-		
ნულით ა. ყუმისთაველისა . . . . .	IV	6
მთვარის მოგზაურობა სურათი მეშვიდე ანდერსენისა გერმა-		
ნულით მისივე . . . . .	V	11
დედაბერი და ხბო. ხალხური ზღაპარი . . . . .	—	15
ბიძია კლაუსი და მისი ერთგული მეგობრები. ზიარელისა .	VI	15
ორი ძმა. ხალხური ზღაპარი . . . . .	VIII	20 *
რათა ბზუვიან კოლოები? ზღაპარი თარგ. თ. კანდელაკისა	IX	19
გულწითელა. ლეგენდა თეოფ. კანდელაკისა . . . . .	X	23 *
მეფე კარიუს. ფინური ზღაპარი ალ. სარაჯიშვილისა . . .	XI	3 *

**ლექსები და პოემები**

**უფროსების განყოფილება**

ზამთარი სოფელში თ. რაზიკაშვილისა . . . . .	I	40
ნამი შ. მღვიმელისა . . . . .	II	40

## ს ა რ ჩ ე ვ ი

აღდგომა. შ. მღვიმელისა . . . . .	V	28
ორი ყორანი, იასამანისა . . . . .	VIII	28 *
შემოდგომაზე. იასამანისა . . . . .	X	55 *
ვახტანგ გორგასლანის უკანასკნელი დღე (ისტორ. პოემა) ილ. ჩ—პირელისა . . . . .	XI	31,
საახალწლო შიო მღვიმელისა . . . . .	XII	34

### მოთხრობები ორიგინალური და ნათარგმნი.


ისიც ადამიანი ყოფილა, ეკ. გაბაშვილისა . . . . .	I	42
უგულო ბავში. მონგომერისა თარგმ. ელ. წერეთლისა . . . . .	—	47
II—49, III—33, IV—57, V—49, VI—52, VII—59, VIII IX—45, X—56.	VIII	60 v
ლაქია ვასილი (გადმოღებული რუსულიდან) ქეთო ზარაფა- შვილისა . . . . .	II	41
მთვარის მოგზაურობა. ანდერსენისა გერმანულით. ა. ყუმის- თაველისა . . . . .	III	31
	VII—41	
მიხედება და მაპატიებს! ეკ. გაბაშვილისა . . . . .	IV	35
ვინ უფრო მართალია? ფროსი . . . . .	—	54
გფარავდეთ ღმერთი! ალ. ლოლაძესი . . . . .	V	29
ორი მწუხარება (თარგმანი) ვ. მიქაბერიძისა . . . . .	—	39
ქურდი. ელ. წერეთლისა . . . . .	VI	27
ბაცრუებული იმედები. თარგმანი ქეთოსი . . . . .	—	39
განთიადი ახალი ცხოვრებისა. თარგმანი ნ. კასრაძესი . . . . .	VII	33
	VIII—30, IX—33, X—42,	X
პატარა მეცხვარე—მოთხრ. მ. კინწუთაშვილისა . . . . .	XII	37

### ისტორია ჩვენი და უცხოეთისა.

ძველი ქართველები. ს. გორგაძისა . . . . .	I	54
მსოფლიო ისტორია ერნესტ ლავისისა ფრანგულიდან, ალ. სარაჯიშვილისა V 61, VI 69. VIII 68, IX 63, XI 65 XII 65 IV	IV	65
საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან. შედგენილი ს. გორგაძისა . . . . .	V, 42, VII 50, VIII 51, IX 41, XI 47 XII	53

### სამეცნიერო სტატიები და ბუნების მეტყველებიდან.

ბედნიერი ქვეყანა ივ. გომართელისა . . . . .	IV	43
როგორ ზრდიან ფრინველები თავიანთ ბარტყებს ა. ფ—სი	—	62
ღარიბების მეგობრები ივ. გომართელისა V 54, VI 59, VII	VII	67
	VIII 41, IX 53, X 68,	XI 62



ბიოგრაფია ჩვენი და უცხოეთისა.

სახელ-განთქმული პოეტი მეზღაპრე ანდერსენი, შედგენილი ან. წერეთლისა . . . . . II 57

III 43

შიო ჩიტაძე, ალ. მიქაბერიძესი . . . . . — 52

ილია ბრიგოლის ძე ჭავჭავაძე, ს. ბორგაძესი . . . . . IX 29

ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე და მისი ბაზალეთის ტბა, ჩიტი და ლუარსაბ თათქარძის სახლ-კარი . . . . . X 33

ალექსანდრე ეპისკოპოსი, ნეკროლოგი . . . . . XII 49

ლეგენდები და ზღაპრები

(ჩვენი და უცხოეთისა).

ქვათა ქცეული (ჩაწერილი პ. მირიანაშვილისა) . . . . . V 46

ლეგენდა კოტეს ნაამბობი, თეოფ. ხუსკივაძისა . . . . . VII 43

ცრემლებით აღესილი სურა, ბემტაინის ზღაპარი გერმანულ-ლით ა. ყუმისძაველისა . . . . . VIII 39 x

მიჯაჭული ამირანი, თეოფ. კანდელაკისა . . . . . IX 59

დევთა ბრძოლა, ლეგენდა იგივესი . . . . . XI 55 x

უზინარა ინდოური პოემიდან. ალ. სარაჯიშვილისა . . . . . XII 63

გასართობი და სახუმარო ამბები, ანდაზები, გამოცანები, შარადები, რებუსი და სხვა წვრილმანი მოთავსებულია ყოველ ჯეჯილის ნომერში.